186
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1978 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

32. საქართველოს სსრ ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ.
33. აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

34. სანდრო ახმეტელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 3 მაისის № 273 დადგენილება წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობისათვის ვაჟა-ფშაველას სახელისა და მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობისათვის საბჭოთა კონსტიტუციის სახელის მიკუთვნების შესახებ.
36. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციის შექმნის შესახებ.
37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
38. საბინაო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების საპროექტო სამუშაოთა და მშენებლობის ორწლიან უწყვეტ დაგეგმვაზე გადასვლის შესახებ.
39. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების რაიონული საწარმოო გაერთია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნების სანიმუშო დებულებისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ..

40. საქართველოს სს რესპუბლიკაში სანაკრძალო საქმის გაძღოლის, აღკვეთილთა და ბუნების ძეგლთა დაცვის გაუმჯობესების შესახებ.

41. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დებულების, მასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულებისა და ამ საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

42. „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სატრანსპორტო საშუალებებით ფოსტის გადაზიდვისა და მიტანის ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 31 მაისის № 415 დადგენილების თაობაზე.

43. რესპუბლიკაში ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 750 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

45. ფსხუს სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის შესახებ.

46. „საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

47. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის ბოცვრების მიყიდვის დროს ბოცვრის ტყავისათვის სართის გადახდის შესახებ.

48. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ შ. დ. რადიანის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

49. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის ოთხი სტიპენდიის დაწესების შესახებ.

50. „თესლოვანი ხილის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 14 აპრილის № 201 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

მუხ. 32
ეროვნული
ბიბლიოთეკა

32 საქართველოს სსრ ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს წინადადება და დაწესდეს საქართველოს სსრ ტყეების რესპუბლიკური დათვალიერება.

დათვალიერება მოეწყოს ყოველი წლის აგვისტოს მეორე შაბათსა და კვირას ფართო საზოგადოებრიობის, პარტიული, საბჭოთა ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა, მეცნიერთა, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის და სხვა მუშაკთა მონაწილეობით.

დათვალიერების შედეგები გამოცხადდეს ყოველწლიურად სექტემბერში ტყის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს დებულება საქართველოს სსრ ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ და დაამტკიცოს იგი საქართველოს ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით.

3. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 10 მაისი, № 312

ეროვნული ბიბლიოთეკა

33 აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრისა და აკადემიის ნამდვილი წევრის, სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ილია ნესტორის ძე ვეკუას ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელი:

ა) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს;

ბ) ქალაქ თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლას;

გ) გალის რაიონის სოფელ შეშელეთის საშუალო სკოლას;

დ) გალის რაიონულ ბიბლიოთეკას.

2. დაწესდეს:

ა) ერთი პრემია 2500 მანეთის ოდენობით, რომელიც ყოველ წელიწადში ერთხელ მიენიჭება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდიდან მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის;

ბ) ერთი სტიპენდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასტიპენდიო ფონდიდან მათემატიკისა და მექანიკის დარგების ასპირანტებისათვის;

გ) ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს:

ა) გამოსცეს აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას მონოგრაფიები ქართულ ენაზე და ბიობიბლიოგრაფიული ცნობარი რუსულ ენაზე;

ბ) ააგოს აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას საფლავზე განსვენებულის ძეგლი.

4. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) მიაკუთვნოს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელი;

ბ) გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს შექმნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

შეკვეთით დოკუმენტური ფილმი აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 10 მაისი, № 325

34 სანდრო ახმეტელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორის სანდრო ახმეტელის დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო კომისიის წინადადებანი და დაევალოთ:

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს — გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა სანდრო ახმეტელი (რუსთაველის პროსპექტი, № 17).

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და სიღნაღის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს — დადგან სანდრო ახმეტელის ბიუსტი ქალაქ სიღნაღში და შექმნან რეჟისორის სახლ-მუზეუმი სოფელ ანაგაში.

3. დაწესდეს სანდრო ახმეტელის სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საერთო სასტიპენდიო ფონდის ანგარიშში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 3 მაისი, № 266

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

35 წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობისათვის ვაჟა-ფშაველას სახელისა და მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობისათვის საბჭოთა კონსტიტუციის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობას ვაჟა-ფშაველას სახელი და ნება დაერთოს კოლმეურნეობას დადგას საკუთარი სახსრების ხარჯზე კოლმეურნეობის ეზოში პოეტის ძეგლი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უზრუნველყოს ძეგლის შესრულების მაღალი იდეური და მხატვრული დონე.

2. მიეკუთვნოს მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობას საბჭოთა კონსტიტუციის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 3 მაისი, № 273.

36 საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციის შექმნის შესახებ[1]

მიწისქვეშა წყლების რეჟიმის, წყალ-მარილის ბალანსის, საირიგაციო-სადრენაჟო სისტემათა მოქმედების ეფექტიანობის შესწავლისათვის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, აგრეთვე სარწყავი და დაშრობილი მიწების დამლაშებისა და დაჭაობების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას 1978 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარ საექსპლუატაციო სამმართველოსთან საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიცია (დისლოკაცია — ქალაქ თბილისში), რომელიც შედგება დიდ სარწყავ და დაშრობილ მასივებზე განლაგებული ანგარიშვალდებული ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო პარტიებისაგან.

2. დაეკისროს საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციას ზედამხედველობის განხორციელება სარწყავი და დაშრობილი მიწების

[1] დანართები არ იბეჭდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიორაციული მდგომარეობისადმი და საჭირო ღონისძიებათა შესრულება მათი დამლაშებისა და დაჭაობების თავიდან აცილებისათვის, სადრენაჟო სისტემათა ტექნიკური ექსპლუატაციისა და მათი განვითარებისათვის იმ მიზნით, რომ შეიქმნას ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლებისა და სარწყავი და დაშრობილი მიწების ეფექტიანი გამოყენების პირობები, კერძოდ:

კომპლექსურ ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო სამუშაოთა დასაბუთება და განხორციელება, სარეჟიმო ქსელის, საბალანსო სადგურების, ვერტიკალური დრენაჟის ჭაბურღილების განლაგება და მოწყობა; ნიადაგ-გრუნტების და გრუნტის წყლების ტენიანობისა და მარილიანობის რეჟიმისადმი და მათი მინერალიზაციისადმი, დრენაჟის ჩანადენისადმი, ვერტიკალური დრენაჟის ჭაბურღილების ტექნიკური მდგომარეობისა და მათი სამელიორაციო ეფექტისადმი მეთვალყურეობის ორგანიზაცია;

— სარწყავი და დაშრობილი მიწების თანამედროვე ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო პირობების ამსახველი მასალების განზოგადება და გაანალიზება, ნიადაგ-გრუნტების, გრუნტის წყლების განლაგების სიღრმის ტენიანობისა და დამლაშების, მათი მინერალიზაციის რუკების შედგენა, საინჟინრო-სამელიორაციო დარაიონების რუკებისა და მიწების მელიორაციული მდგომარეობის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშების შედგენა ან დაზუსტება;

— მეურნეობებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, იმ მხრივ, რომ წესივრულ მდგომარეობაში იქონიონ საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი, განახორციელონ დამლაშებული მიწების გამორეცხვა, დააწესონ რწყვის ვადები და ნორმები;

— მონაწილეობა სამელიორაციო ღონისძიებათა გეგმების შემმუშავებელ და პროექტების განმხილველ, აგრეთვე მელიორაციის ობიექტების საექსპლუატაციოდ მიმღებ კომისიებში.

3. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა 1975 წლის 26 აპრილის № 700-იგ წერილით ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკების მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციების მუშაკთა შრომა აანაზღაურონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1972 წლის 12 დეკემბრის № 842 დადგენილების შესაბამისად.

4. დაუმტკიცდეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საშტატო განრიგი და გაუდიდდეს ზღვრული ასიგნებანი და ხელფასის ფონდი საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციის მმართველობის აპარატის შესანახად, № 1 და 2 დანართების თანახმად.

5. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ განსაზღვროს საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციის დაფინანსების წყაროები 1978 წლისათვის საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო ასიგნებებიდან და ორი კვირის ვადაში შეიმუშაოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამტკიცოს საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციის დებულება სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიერ 1975 წლის 26 სექტემბერს დამტკიცებული „სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედების ზონაში მელიორაციის სამსახურის ტიპობრივი დებულების“ შესაბამისად.

6. ნება დაერთოს საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციას შეასრულოს სამეურნეო ხელშეკრულებათა მიხედვით სამუშაოები, რაც მისი საქმიანობის პროფილს განეკუთვნება.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ მიიღონ ცნობად სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს 1977 წლის 24 ოქტომბრის № 436, 227, 496 ერთობლივი ბრძანება და შეიტანონ 1979 წლის განაცხადებში საჭირო ასიგნებანი, მოწყობილობა და მასალები საქართველოს ჰიდროგეოლოგიურ-სამელიორაციო ექსპედიციის სამუშაოთა გაფართოებისათვის, რაც მოიცავს რესპუბლიკის ყველა სარწყავ და დაშრობილ მასივს 1980 წლამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 19 მაისი, № 330

37 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებათა ნუსხაში შემდეგი ცვლილება:

მე-15 პუნქტს დაემატოს სიტყვები „სასაზღვრო ვეტსანიტარიული ღობეების აღდგენა“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„15. ვეტერინარული დაწესებულებებისათვის, რაიონული და საქალაქო სახანძრო ინსპექციებისათვის (რაზმებისა და ნაწილებისათვის) და სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის სატრანსპორტო საშუალებების (ავტომანქანების, მოტოციკლების, ცხენებისა და ველოსიპედების) და სატრანსპორტო მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობილობის (საზიდრების, მარხილების, აღკაზმულობისა და სხვათა) შეძენა, სასაზღვრო ვეტსანიტარიული ღობეების აღდგენა".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 29 მაისი, № 348

38 საბინაო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების საპროექტო სამუშაოთა და მშენებლობის ორწლიან უწყვეტ დაგეგმვაზე გადასვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საბინაო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების საპროექტო სამუშაოთა და მშენებლობის ერთი წლით დაგეგმვის არსებული პრაქტიკა ზღუდავს წლის განმავლობაში საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციათა თანაბარზომიერი დატვირთვის და კაპიტალური მშენებლობის შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობას.

ამასთანავე ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ქალაქების დადებითმა გამოცდილებამ ცხადყო დაგეგმვის ორწლიანი უწყვეტი მეთოდის უპირატესობა არსებულ წესთან შედარებით.

საბინაო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ერთიანი შემკვეთის ფუნქციების თავმოყრა ძირითადად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოში საჭირო პირობებს ქმნის საბინაო-კომუნალური დანიშნულების ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობაში ორწლიან უწყვეტ დაგეგმვაზე გადასასვლელად.

საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციათა რიტმული მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნის, მშენებლობის მონაწილეთა ზუსტი ურთიერთმოქმედების, საექსპლუატაციოდ გადასაცემი ობიექტების დაპროექტების ხარისხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესების, მშენებლობის მონაწილე ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „ქალაქებში საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების კომპლექსური ნაკადური მშენებლობის პრაქტიკის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 მარტის № 173 დადგენილების შესასრულებლად:

— დაეკისროს 1979 წლის 1 იანვრიდან მთლიანად რესპუბლიკის ტერიტორიაზე საიჯარო წესით განსახორციელებელი საბინაო მშენებლობის ობიექტების მშენებლობის ერთიანი შემკვეთის ფუნქციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალურ მშენებლობის მთავარ სამმართველოს;

— ეთხოვოთ საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებს გაითვალისწინონ, მოყოლებული 1979 წლიდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის საიჯარო წესით, წილობრივი მონაწილეობით განსახორციელებელი საბინაო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემა, ამასთან ერთად დაუმთავრებელი ობიექტების, მათი მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მოწყობილობის, ნაკეთობებისა და მასალების ფონდების, აგრეთვე შრომის გეგმების და მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის აპარატის შესანახ ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტების გადაცემით;

— დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში), საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ გადასცენ 1979 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს საბინაო მშენებლობის კაპიტალური დაბანდებანი დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის, ამ მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მოწყობილობის, ნაკეთობებისა და მასალების ფონდების, აგრეთვე შრომის გეგმების და მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის აპარატის შესანახ ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტების შესაბამისი გადაცემით.

2. შემოღებულ იქნეს, მოყოლებული 1979 წლიდან, საბინაო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის ორწლიანი უწყვეტი დაგეგმვა.

3. შეტანილ იქნეს საბინაო და კომუნალური მშენებლობის ორწლიანი უწყვეტი დაგეგმვის სავალდებულო დოკუმენტაციის შემადგენლობაში:

— საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ორწლიანი გეგმა;

— მშენებლობათა სატიტულო სიები ორი წლისათვის;

— ნაკადური მშენებლობის გრაფიკები ორი წლისათვის;

— ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა-გრაფიკი ორი წლისათვის.

4. საბინაო და კომუნალური მშენებლობის ორწლიანი გეგმები დამტკიცდეს, მოყოლებული 1979 წლიდან, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების წლიურ გეგმებში ცალ-ცალკე ორწლედის წლების მიხედვით ერთწლიანი დაგეგმვის მოქმედი სისტემისათვის დაწესებული ფორმებისა და მაჩვენებლების შესაბამისად.

5. დაწესდეს, რომ პირველი დაგეგმილი წლისათვის მშენებლობათა სატიტულო სიები შემუშავდება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისაგან დადგენილი წესით მიღებული კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობისა და სიმძლავრეთა ამოქმედების დაზუსტებული ლიმიტების შესაბამისად, ხოლო მეორე დაგეგმილი წლისათვის — ხუთწლიანი გეგმით ამ წელს გათვალისწინებულ მოცულობათა შესაბამისად.

მეორე დაგეგმილი წლისათვის გათვალისწინებული მოცულობა მომდევნო წელს სატიტულო სიების შედგენისას პირველი დაგეგმილი წლის მოცულობა გახდება და კორექტირებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დაწესებული დაზუსტებული ლიმიტებისა და წინა წლის გეგმის შესრულების შედეგებიდან გამომდინარე შესწორებების შესაბამისად.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— უზრუნველყოს ორწლიანი გეგმების პროექტების შემუშავება, მათი განხილვა და წარმოდგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად იმ ვადებში, რაც ყოველწლიურად წესდება რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების პროექტების წარმოსადგენად;

— უზრუნველყოს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ორწლიანი გეგმების შემუშავება და დამტკიცება ათი დღის ვადაში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების დამტკიცების შემდეგ;

— შეატყობინოს ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად დაგეგმილი ორწლედის წინა წლის იანვარში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს მომდევნო წლების საბინაო და კომუნალური ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის, აგრეთვე სიმძლავრეთა ამოქმედების კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები, რომლებიც დაზუსტდეს აგვისტოში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა მენაშენე სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

— შეიმუშაონ ყოველწლიურად ხუთწლიანი გეგმისა და დასახული ობიექტების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად საბინაო და კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნალური მშენებლობის სატიტულო სიების ორწლიანი პროექტები და [illegible] რილამდე წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და შესათანხმებლად საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და სხვა საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სატიტულო სიების პროექტების განხილვა და შეთანხმება 10 მაისამდე;

— წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 20 მაისამდე სატიტულო სიების პროექტები, რომლებიც დაზუსტებულია მათი შეთანხმებისას საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების შენიშვნების შესაბამისად;

— უზრუნველყონ საბინაო და კომუნალური მშენებლობის საძიებო და საპროექტო სამუშაოთა ორწლიანი სატიტულო სიების პროექტების შედგენა, განხილვა და შეთანხმება და წარუდგინონ ისინი დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების პროექტებთან ერთად;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისაგან პირველი დაგეგმილი წლის დაზუსტებული ლიმიტების მიღების შემდეგ შეიტანონ კორექტივები საბინაო და კომუნალური დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიაში და წარუდგინონ ისინი სექტემბერში საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის სახმშენის 1977 წლის 23 სექტემბრის № 143 დადგენილების შესაბამისად ოქმები წილობრივი მონაწილეობის წესით კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემის შესახებ დგება ორი წლით თანდართული ფორმის მიხედვით, ამასთან დაგეგმილი წლის მომდევნო წლის კაპიტალურ დაბანდებათა გადასაცემ მოცულობას გადამცემი მხარე დააწესებს ხუთწლიანი გეგმების საფუძველზე ან მიღებულ იქნება დაგეგმილი წლის დონეზე და დაზუსტდება მომდევნო წლის გეგმის შედგენისას.

დაწესდეს, რომ:

— ოქმებს საბინაო და კომუნალურ მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის წესით კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემის შესახებ გააფორმებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით;

— საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები საბინაო და კომუნალური მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემის შესახებ შედგენილი ოქმების გაფორმებას დაამთავრებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავრ სამმართველოსთან ერთად ორწლედის წინა წლის 20 აპრილამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საკავშირო-რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც უშუალოდ ასორციელებენ შემკვეთის ფუნქციებს;

— წარუდგინონ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს ორწლედის წინა წლის 15 აპრილამდე საბინაო დანიშნულების მშენებლობათა სატიტულო სიები ცალ-ცალკე ორი წლისათვის ხუთწლიანი გეგმის ან საბინაო მშენებლობის მიღწეული დონის საფუძველზე;

— 1979 წლის იანვრიდან ყოველთვიურად საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში ანგარიშების წარდგენასთან ერთად შეატყობინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს მონაცემები საბინაო მშენებლობის გეგმის ფაქტიური შესრულების შესახებ ობიექტების მიხედვით.

10. საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა:

— ყოველწლიურად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების დამტკიცებამდე შეიმუშაონ შემკვეთებთან შეთანხმებით მშენებლობათა ორწლიანი სატიტულო სიების საფუძველზე ნაკადური მშენებლობის ორწლიანი გრაფიკები, ამასთან გაითვალისწინონ ობიექტების რიტმული გადაცემა საექსპლუატაციოდ პირველი და მეორე დაგეგმილი წლების განმავლობაში;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან ერთად შეადგინონ და დაამტკიცონ 20 დეკემბრამდე ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ორი წლის გეგმა-გრაფიკი გენსაიჯარო ტრესტების აღნიშვნით და რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა-გრაფიკი კორექტირდება წინა წელს ფაქტიური შესრულების შედეგების მიხედვით და ხელახლა დამტკიცდება ორი კვირის ვადაში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმების კორექტირების შემდეგ.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ:

— საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან და რესპუბლიკის სხვა საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ნაკადური მშენებლობის ორწლიანი გრაფიკების შედგენამდე უზრუნველყოს მასობრივი საბინაო მშენებლობის ტერიტორიების საინჟინრო მომზადების სამუშაოთა წინდაწინ შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა, აგრეთვე შეიმუშაოს საიჯარო და საპროექტო ორგანიზაციებთან შეთანხმებით მშენებელთათვის კომპლექტური ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემის, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომებისაგან მოედნების განთავისუფლების, შემკვეთის მიწოდების ტექნოლოგიური მოწყობილობით, კაბელისა და სხვა ნაკეთობებით ობიექტების კომპლექტაციის გრაფიკები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ნაკადური მშენებლობის შემუშავებული ორწლიანი გრაფიკების საფუძველზე საბინაო და კომუნალური მშენებლობის გეგმების პროექტები ცალ-ცალკე დაგეგმილი ორწლედის წლების მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების ვეგმების წლიური პროექტებისათვის ყოველწლიურად დაწესებულ ვადებში.

12. საქართველოს სსრ სახმშენმა:

— სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად 1985 წლამდე პერსპექტივით საბინაო მშენებლობის განლაგების პროექტების შემუშავების მიზნით 1979 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ქალაქებში მასობრივი საბინაო მშენებლობისათვის ტერიტორიის გამოყოფის შესახებ;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და 1979 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად 1981-1985 წლების საბინაო მშენებლობის სტრუქტურა საცხოვრებელი სახლების ერთი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საშუალო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების აღნიშვნით, ხოლო ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს ხელახლა დასამტკიცებლად 1979-1980 წლების საბინაო მშენებლობის კორექტირებული სტრუქტურა.

საბინაო მშენებლობის სტრუქტურის შემუშავებისას გაითვალისწინოს, რომ ძირითადი საშენი მასალების ხარჯვა სტრუქტურით განსაზღვრული საცხოვრებელი სახლების ტიპების მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს 1000 კვადრატულ მეტრ საერთო საცხოვრებელ ფართობზე ხარჯვის დამტკიცებულ ნორმებს;

— უზრუნველყოს ქალაქების იმ ტერიტორიების დეტალური დაგეგმარების პროექტების შემუშავება, რომლებზეც უნდა აშენდეს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები უახლოეს ოთხ წელიწადში, და 1978 წლის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად მათი შემუშავების გრაფიკები და ეტაპები.

13. საპროექტო ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“, „საქსოფლმშენსახპროექტმა“, „კომუნმშენსახპროექტმა“ და „თბილქალაქპროექტმა“:

— უზრუნველყონ, რომ წლის განმავლობაში შემკვეთებს თანაბარზომიერად მიეცეთ კომპლექტური ტექნიკური დოკუმენტაცია: ტექნიკურ-სამუშაო პროექტები — 1 აგვისტომდე და სამუშაო ნახაზები — 1 სექტემბრამდე საძიებო და საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიით გათვალისწინებული ყველა ობიექტისათვის, რომელთა მშენებლობა უნდა განხორციელდეს მომდევნო წელს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მშენებლობის დაწყებამდე ორი წლით ადრე განახორციელონ კვლევა-ძიება, ახალი მიკრორაიონების განაშენიანების პროექტების შემუშავება, საქალაქო საინჟინრო ქსელებისა და ტერიტორიების საინჟინრო მომზადების ტექნიკური დოკუმენტაციის დამზადება, იმ საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების ტექნიკური პროექტების მომზადება, რომლებიც ინდივიდუალური პროექტების მიხედვით შენდება.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საბინაო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და წილობრივი მონაწილეობის სახსრების გადამცემ ორგანიზაციებთან შემდგომი ანგარიშსწორებისას განუხრელად დაიცვან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 მარტის № 173 დადგენილებითა და სსრ კავშირის სახმშენის 1977 წლის 23 სექტემბრის № 143 დადგენილებით გათვალისწინებული პირობები.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში საბინაო მშენებლობის ქვეგანყოფილების შექმნის შესახებ.

16. მთლიანად რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბინაო მშენებლობის პროგრამის ფაქტიური შესრულების დეტალური ანალიზის განხორციელებისა და მის ცალკეულ უბნებზე შესაძლო ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის საჭირო ოპერატიული ზომების მიღების მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს გამოსცეს, მოყოლებული 1979 წლის იანვრიდან, ყოველთვიური ბიულეტენი რესპუბლიკის საბინაო მშენებლობის შესახებ ამჟამად არსებული ფორმის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 31 მაისი, № 354

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 31 მაისის № 354
დადგენილების დანართი

ᲛᲐᲥᲐ

_____ მიერ
(საწარმოს, სამინისტროს, უწყების დასახელება)

_____ წილობრივი მონაწილეობის
(ობიექტების დასახელება)

წესით მშენებლობისათვის იმ კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემის შესახებ,

რომლებსაც იღებს _____
(ერთიანი შემკვეთის დასახელება)

19_____ წლისათვის

ობიექტებისა და მაჩვენებლების დასახელება	ზომის ერთეული	წილობრივი მონაწილეობის ობიექტების წესით მშენებლობის მოცულობა დაგეგმილი წლისათვის	მანასწარი მოცულობა მიმდინარე წლის დაგეგმილი სათვის
საექსპლუატაციოდ გადაცემა			
(ობიექტების დასახელება)	X		
ძირითადი ფონდების ამოქმედება	ათასი მანეთი		
კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა	„		
იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, რომელთაც ასრულებს	„		
(საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციის,			
სამინისტროს, უწყების დასახელება)			
უნდა გამოეყოს საწარმოს წილობრივი მონაწილეობისათვის სსრ კავშირის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაკავებული თანხების გამოქვითვით (განგარიშება თან ერთვის)	X		

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმო	ერთიანი შემკვეთი
(თანამდებობა)	(თანამდებობა)
(თარიღი) (ხელმოწერა)	(თარიღი) (ხელმოწერა)

შეთანხმებულია

(საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობა)

(თარიღი) (ხელმოწერა)

X) ზომის ერთეულებად აღინიშნება სახალხო-სამეურნეო გეგმაში დაწესებული ერთეულები: საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლებისათვის — ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისათვის — ადგილები და ა. შ., საერთო საცხოვრებლებისათვის, გარდა ამისა, აღინიშნება ადგილების რაოდენობა.

39 კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების რაიონული საწარმოო გაერთიანების სანიმუშო დებულებისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების რაიონული საწარმოო გაერთიანების დროებითი სანიმუშო დებულება და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 2 ივნისი, № 367

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 2 ივნისის № 367 დადგენილებით

დროებითი სანიმუშო დებულება

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების რაიონული საწარმოო გაერთიანების შესახებ

1. ზოგადი დებულებები

1. კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების რაიონული საწარმოო გაერთიანება (შემდგომ ტექსტში გაერთიანებად წოდებული) იქმნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 მარტის № 167 დადგენილებით.

გაერთიანების შემადგენლობაში შედიან:

კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები.

გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობას იღებენ სხვა უწყებების სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ემსახურებიან.

2. გაერთიანება ასრულებს საწარმოო-სამეურნეო ფუნქციებს მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ და კოორდინაციის ფუნქციებს ერთობლივი საქმიანობის ნაწილში სოფლის მეურნეობის მომსახურე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ, ხელს უწყობს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას, აგრეთვე წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებასა და მომსახურებასთან.

3. გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობასა და იურიდიული პირის უფლებას, მუშაობენ საკუთარი წესდებისა და დებულების საფუძველზე.

4. გაერთიანების მთავარი ამოცანაა:

— კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომი ამაღლება და ამის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების მაქსიმალური გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, აგრეთვე ადგილობრივი რეზერვების გამოყენების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება და რენტაბელობის ამაღლება;

— გაერთიანებაში შემავალი ყველა კოლმეურნეობის, სამეურნეობათაშორისო საწარმოს, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

— მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, მიწების რაციონალურად და ნაყოფიერად გამოყენება;

— რაიონის სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარება, სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მეურნეობების წარმოების პირობების გათანაბრება;

— იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადს გადამუშავებას და სოფლის მეურნეობისათვის ასრულებენ სპეციალიზებულ სამუშაოებსა და მომსახურებას;

— გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სამსახურების საქმიანობისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვა;

— მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართო დანერგვა, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა;

— კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა, რაციონალური გამოყენება და ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ვადებისა და თვითღირებულების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეების თავის დროზე ამოქმედება და ათვისება;

— გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებში, სამეურნეობათაშორისო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია;

— სოციალისტური შეჯიბრების განვითარება და წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა, გაერთიანებაში შემავალი მეურნეობების კოლექტივების სოციალური განვითარება;

— მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება, შრომის უსაფრთხოებისა და ხელსაყრელი პირობების შექმნა.

5. გაერთიანება ექვემდებარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შესაბამისი რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

— 6. თავის საქმიანობაში გაერთიანება ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, რომლებიც ეხება გაერთიანების საქმიანობას, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და მითითებებით და ამ დებულებით. იგი არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი და ხსნის ანგარიშებს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

II. გაერთიანების შექმნის წესი

7. გაერთიანება იქმნება იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, რომლებმაც თანხმობა გამოთქვეს მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში; გადაწყვეტილება გაერთიანების შექმნის შესახებ მტკიცდება დადგენილი წესის შესაბამისად.

გადაწყვეტილებას გაერთიანების შემადგენლობაში კოლმეურნეობის შესვლის შესახებ ამტკიცებს კოლმეურნეთა საერთო (რწმუნებულთა) კრება; კრება აგრეთვე აირჩევს თავის წარმომადგენლებს დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებად გადამწყვეტი ხმის უფლებით და მისცემს მათ რწმუნებას მოაწერონ ხელი კოლმეურნეობის სახელით გადაწყვეტილებას გაერთიანების შექმნის შესახებ. გადაწყვეტილებები გაერთიანებაში სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესვლის შესახებ მიიღება მათ წესდებათა (დებულებათა) შესაბამისად.

საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფო საწარმოები და დაწესებულებები გაერთიანებაში შედიან თავიანთი ზემდგომი ორგანოს ნებართვით. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბრძანებით ნიშნავს წარმომადგენლებს დამფუძნებელ კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით.

8. ახალი მეურნეობები, საწარმოები და ორგანიზაციები გაერთიანებაში მიიღებიან მათი თხოვნით და გაერთიანების თავმჯდომარის წარდგინებით (რეკომენდაციით) მონაწილე მეურნეობების რწმუნებულთა კრების მიერ.

9. კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები და ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში.

10. გაერთიანების შემადგენლობიდან ცალკეული მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გამოსვლის საკითხს წყვეტს გაერთიანების წევრთა წარმომადგენლების კრება. კოლმეურნეობის მიმართ — კოლმეურნეთა საერთო (რწმუნებულთა) კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, დანარჩენი კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ — მათი წესდების (დებულების) შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ — მათი თხოვნით ზემდგომი ორგანოებ-ების ნებართვის საფუძველზე.

გაერთიანების შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ მეურნეობა გაერთიანების საბჭოს აცნობებს არა უგვიანეს 6 თვისა გამოსვლამდე.

გაერთიანების შემადგენლობიდან გამოსულ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებთან ანგარიშსწორება წარმოებს სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ.

III. გაერთიანების მართვის ორგანოები

11. გაერთიანების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მასში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების სრულუფლებიან წარმომადგენელთა კრება.

12. სრულუფლებიანი წარმომადგენლები აირჩევიან (დაინიშნებიან) თითოეული მონაწილისაგან თანაბარი რაოდენობით 3 წლის ვადით.

კოლმეურნეობებში აირჩევიან კოლმეურნეთა საერთო (რწმუნებულთა) კრების მიერ, სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში — იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია მათი წესდებით (დებულებით), ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ინიშნებიან დირექტორის ბრძანებით.

13. გაერთიანების მონაწილეთა წარმომადგენლების კრება:

— ამტკიცებს გაერთიანების დებულებას, აგრეთვე შეაქვს მასში საჭირო ცვლილებები და დამატებები, ხოლო შემდგომ რეგისტრაციაში ატარებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში;

— განსაზღვრავს გაერთიანების საბჭოსა და სარევიზიო კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას და ღია კენჭის ყრით ირჩევს 3 წლის ვადით საბჭოს წევრებს, მის თავმჯდომარესა და სარევიზიო კომისიის წევრებს;

— განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოების და ორგანიზაციების განცხადებას გაერთიანების შემადგენლობაში მათი მიღების შესახებ და გამოაქვს მათ შესახებ თავისი გადაწყვეტილება;

— განიხილავს გაერთიანებაში წარმოების განლაგების, კონცენტრაციის, სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და სპეციალიზებული საწარმოო და მომსახურე ერთეულების შექმნის საკითხებს;

— ამტკიცებს მთლიანად გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის პერსპექტიულ, მიმდინარე და სოციალური განვითარების გეგმებს, აგრეთვე მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების გეგმებს;

— უწესებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და კოოპერაციულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს საგეგმო დავალებებს მთლიანად გაერთიანებისათვის დამტკიცებული მაჩვენებლების საფუძველზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განსაზღვრავს ცენტრალიზებული ფონდების მოცულობას და ამტკიცებს შესაბამის დიფერენცირებულ ნორმატივებს, ხარჯთაღრიცხვებსა და წესებს ამ ფონდების გამოყენების შესახებ;

— ამტკიცებს გაერთიანების შესანახი ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, ანარიცხების რაოდენობასა და შეტანის წესს;

— განიხილავს მთლიანად გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს და საჭიროების მიხედვით მასში შემავალი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს;

— მოისმენს ანგარიშს გაერთიანების საბჭოსა და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ და ამტკიცებს რევიზიის აქტს;

— ამტკიცებს გაერთიანების მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობებსა და მაჩვენებლებს იმ ორგანოსთან შეთანხმებით, რომელიც ხელმძღვანელობს გაერთიანებას;

— ამტკიცებს სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით გაერთიანების ბალანსიდან გაცვეთილი და შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის აქტებს, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია;

— განიხილავს განცხადებებს (შუამდგომლობას) გაერთიანების მონაწილეთა შემადგენლობიდან გასვლის შესახებ და ადგენს მათთან ანგარიშსწორების ვადებსა და წესს;

— იღებს გადაწყვეტილებას საოლქო და რესპუბლიკურ გაერთიანებებში ამ გაერთიანების მონაწილეობის შესახებ;

— გაერთიანების მონაწილეთა წარმომადგენლების კრებას შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული მის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხებიც.

— 14. გაერთიანების მონაწილეთა წარმომადგენლების კრება იკრიბება სამუშაო გეგმის შესაბამისად, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო რიგგარეშე შეკრება ხდება მონაწილეთა არა ნაკლებ 1/3-ის ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნათა საფუძველზე;

— წარმომადგენლების კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი, თუ მას ესწრება წარმომადგენელთა არანაკლებ 2/3-სა. გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

15. გაერთიანების საბჭო:

— განიხილავს გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს;

— განიხილავს საწარმოო-საფინანსო გეგმების პროექტებს, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის გეგმებს, კაპიტალურ დაბანდებათა პერსპექტიულ გეგმებს, მოგების გამოყენებისა და ზარალის დაფარვის საკითხებს, აგრეთვე გაერთიანების სოციალური განვითარების გეგმების პროექტებს და შეაქვს თავისი წინადადებანი წარმომადგენელთა კრებაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამტკიცებს გაერთიანების შინაგანაწესს სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ანალოგიურად;

— ამტკიცებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაწილების გეგმებს;

— ამტკიცებს გაერთიანების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად სოციალისტური შეჯიბრების პირობებსა და შედეგების შეჯამების წესს;

— განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს;

— სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგენს თავის წინადადებებს კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების იმ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას, წესდებებსა და დებულებებს;

— განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებასთან, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფასა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან;

— ამტკიცებს სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მიერ უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერის აქტებს და აცნობებს ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებს;

— პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, კომუნისტური შრომის მოძრაობას, იხილავს მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკთა მატერიალური და მორალური წახალისების საკითხებს;

— საბჭო განიხილავს და დაამტკიცებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია გაერთიანების საქმიანობასთან.

16. გაერთიანების საბჭოს სხდომა იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც, რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეული იქნეს სარევიზიო კომისიის ან საბჭოს წევრების არანაკლები 1/3-ის მოთხოვნით. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრების სულ ცოტა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება ხმის უბრალო უმრავლესობით.

17. საბჭოს თავმჯდომარე — გაერთიანების თავმჯდომარე:

— ახორციელებს გაერთიანების საქმიანობის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას მმართველობის აპარატის მეშვეობით, უზრუნველყოფს გაერთიანების მონაწილე მეურნეობების წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებათა შესრულებას, პერსონალურად პასუხისმგებელია გაერთიანების საქმიანობის მდგომარეობისათვის;

— მინდობილობის გარეშე წარმოადგენს გაერთიანებას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით განაგებს გაერთიანების ქონებასა და სახსრებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს, ხსნის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ანაწილებს მთავარ სპეციალისტთა და სხვა მუშაკთა შორის მოვალეობას, კანონმდებლობის შესაბამისად იღებს და ათავისუფლებს სამუშაოდან მუშაკებს, ახორციელებს წახალისებისა და დასჯის ღონისძიებებს, უზრუნველყოფს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულ განხილვას, წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია გაერთიანების სამეურნეო-საწარმოო საქმიანობასთან და არ შედის ზემდგომი ორგანოების კომპეტენციაში.

18. გაერთიანების საწარმოო საქმიანობაში მშრომელთა აქტიური ჩაბმისათვის არსებული წესის მიხედვით მოქმედებს საწარმოო თათბირები, იქმნება სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოები.

IV. გაერთიანების ქონება და სახსრები

19. გაერთიანების სახსრები იქმნება მასში შემავალი მეურნეობების, ორგანიზაციებისა და საწარმოების წილობრივი შენატანების, უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ანარიცხების, საამორტიზაციო ანარიცხების, აგრეთვე სხვა წყაროების ხარჯზე.

20. წილობრივი შენატანების ოდენობას და შეტანის წესს განსაზღვრავს გაერთიანების წევრთა წარმომადგენლების კრება.

გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წილობრივი შენატანები შეიტანება:

— კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საკუთარი სახსრებიდან;

— საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ — საკუთარი სახსრებიდან და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ხარჯზე;

— გაერთიანების სახსრები იქმნება აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების ანალოგიური ფონდების და მოგების ნაწილის ცენტრალიზაციით, აგრეთვე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან და კრედიტებიდან.

21. გაერთიანებაში იქმნება შემდეგი სახის ცენტრალიზებული ფონდები:

ა) წარმოების განვითარებისა და განმტკიცების ფონდი;

ბ) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

გ) მატერიალური წახალისების ფონდი;

დ) სარეზერვო ფონდი;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაერთიანებაში შეიძლება შეიქმნას აგრეთვე სხვა ფონდებიც.

მუზ. 39
ეროვნული
ბიბლიოთეკა

22. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და გაერთიანების სხვა წევრების წილობრივი შენატანები წარმოების განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის, მატერიალური წახალისებისა და სარეზერვო ფონდებში წარმოებს წმინდა შემოსავლიდან (მოგებიდან) და აღირიცხება როგორც საპაიო შენატანი.

23. წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდი გამოიყენება როგორც დაფინანსების წყარო: კაპიტალური დაბანდების, ძირითადი ჯოგის ფორმირების, საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების ღონისძიებებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, აგრეთვე სხვა დანახარჯების დასაფინანსებლად, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების განვითარებასა და სრულყოფასთან.

24. გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით გაერთიანებაში შეიძლება ცენტრალიზებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილობრივ საამორტიზაციო ანარიცხები, რომლებიც გამოყენებული იქნება კაპიტალური რემონტის, ძირითადი ფონდების აღდგენისა და ჯოგის ფორმირებისათვის.

ცენტრალიზებული საამორტიზაციო ანარიცხები შეიძლება დაიხარჯოს აგრეთვე ძირითადი ფონდების მოდერნიზაციისათვის, ახალი მოწყობილობის, დეტალებისა და კვანძების შესაძენად იმ კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომელთაც ამისათვის არ გააჩნიათ საკმარისი საკუთარი სახსრები, დანარჩენი ნაწილი შეიტანება წარმოების განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში.

25. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი გათვალისწინებულია გაერთიანების საბინაო ფონდის გაფართოებისა და რემონტისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და ფიზკულტურის განვითარების ღონისძიებებისათვის.

26. მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის სახსრები გამოიყენება გაერთიანების აპარატისა და გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივების და სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც დროულად და ხარისხიანად შეასრულეს საგეგმო და განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანები, აგრეთვე კარგი მუშაობისათვის გაერთიანების აპარატის მუშაკების დასაჯილდოებლად და მათთვის მატერიალური დახმარების გასაწევად.

27. სარეზერვო ცენტრალიზებული ფონდი იქმნება გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი ფინანსური დახმარებისათვის, უგეგმო დანახარჯებისა და აპარატის დამატებითი დავალების შესრულებით გამოწვეული ხარჯების აღდგენისათვის, სტიქიური უბედურებითა და წარმოების არახელსაყრელი პირობებით გამოწვეული დანახარჯებისა და ზარალის დასაფარავად. ფონდის სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბრუნავი სახსრების დანაკლისის დასაფარავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარების გაწევა შეიძლება სახსრების დაუბრუნებლად ან სესხის სახით.

28. გაერთიანების საბრუნავი სახსრების საერთო მოცულობა განისაზღვრება საწარმოო-საფინანსო გეგმებით და ზემდგომი ორგანოების დამტკიცებას არ საჭიროებს.

ზემდგომ ორგანოებს არ შეუძლიათ გაერთიანებისათვის გამოყოფილი საბრუნავი სახსრების ამოღება.

29. გაერთიანებას შეუძლია გამოიყენოს სახბანკისა და მშენბანკის კრედიტები (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) იმ პირობებით, რომლებიც დადგენილია საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო სამეურნეო დაწესებულებებისათვის.

კრედიტის საჭიროება განისაზღვრება საწარმოო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების მიხედვით.

V. გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობა

30. გაერთიანება დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად და რაიონის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებისა და სრულყოფისათვის:

— თავის საქმიანობას ახორციელებს სამეურნეო ანგარიშზე;

— ქმნის სამმართველო აპარატს სამინისტროს მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით;

— უზრუნველყოფს მის შემადგენლობაში შემავალი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების და ვალდებულებების შესრულებას;

— უზრუნველყოფს გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური ინტერესების ერთიანობას, ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას;

— ამყარებს გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეობათაშორისო კავშირებს, პირდაპირ საწარმოო კავშირს სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებთან, რომლებიც არ შედიან გაერთიანებაში;

— ოპერატიულად წყვეტს გაერთიანებაში შემავალი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო დავალებათა შესრულების საკითხებს;

— უზრუნველყოფს ტექნიკური უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო, გარემოს (ნიადაგი, წყალსაცავები, ატმოსფერული ჰაერი) დაცვის ღონისძიებების განხორციელებას. ამ მიზნით დადგენილი ნორმით გამოყოფს საჭირო სახსრებს;

— მასში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს გეგმიან დავალებებს განუსაზღვრავს იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც დადგენილია სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობებისათვის და დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ წესზე გადაყვანილი საწარმოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების საგეგმო მაჩვენებლები განისაზღვრება სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვით, ხოლო სამრეწველო წარმოებისა — პროდუქციის მოცულობის და ასორტიმენტის მიხედვით, ამ პროდუქციის მიღებისა და მიწოდების ვადების აღნიშვნით.

— ორგანიზაციას უკეთებს მთლიანად გაერთიანებისა და მასში შემავალი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პერსპექტიული და წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმების, აგრეთვე სოციალური განვითარების გეგმების დამუშავებას;

— იხილავს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის პირველადს გადამუშავებას და გაერთიანებისათვის ასრულებენ სპეციალურ სამუშაოებს; საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შენიშვნები მათი სრულყოფისათვის;

— ამტკიცებს მასში შემავალი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი გეგმების პროექტებს;

— ამზადებს და ზემდგომ ორგანოებს წარუდგენს რაიონის კომპლექსური განვითარების გეგმებთან დაკავშირებულ გაერთიანების საერთო გეგმის პროექტს მის შემადგენლობაში მყოფი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წინადადებათა გათვალისწინებით;

— სახელმწიფოში მოქმედი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების სისტემის გათვალისწინებით ორგანიზაციას უკეთებს რაიონის საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და წარმოებული პროდუქციის გასაღებას;

— განსაზღვრავს მასში შემავალ კოლმეურნეობებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მოთხოვნილებას და დადგენილი წესით წარადგენს განაცხადებს სათანადო ორგანოებში;

— უნაწილებს გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს და ფონდებს მასში შემავალ კოლმეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ახორციელებს კონტროლს ფონდების მიწოდებისადმი;

— იღებს ზომებს კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დანადგარების დროულად დაყენებისა და ამუშავებისათვის, არ დაუშვებს ზენორმატიულ მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების შექმნას, დადგენილი წესით ახდენს გაერთიანებაში არსებული ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციას;

— იძენს სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წვრილი საბითუმო ბაზებიდან და საცალო ვაჭრობის ქსელიდან მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს;

— მატერიალური ფონდების განაწილებისას ქმნის ყველა სახის მატერიალური რესურსების რეზერვებს;

— გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ეწევა ახალ მშენებლობას და მოქმედი ძირითადი ფონდების რეკონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქციას, გაფართოებასა და ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, გასაშვებ ობიექტებზე სახსრების კონცენტრაციას, მშენებარე ობიექტების საექსპლუატაციოდ დროულად გადაცემას, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას და კანონმდებლობით გათვალისწინებული მშენებლობის ყველა პირობის დაცვას;

— ორგანიზაციას უკეთებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტაციისა და სატიტულო სიების დამტკიცებას;

— დადგენილი წესის მიხედვით დებს ხელშეკრულებებს სამშენებლო და სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავებაზე და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებაზე;

— ამტკიცებს მოიჯარე ორგანიზაციებთან ერთად იმ სამუშაოთა შეფასებას, რომლებიც მშენებლობის პროცესში წარმოიშვა და რომელთა შეფასება დადგენილი წესით არ არის დამტკიცებული;

— იღებს ზომებს მშენებლობის ვადების დაცვისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების ამოქმედების ვადების დაცვისათვის;

— კომპეტენციის ფარგლებში ნიშნავს სახელმწიფო კომისიას დამთავრებული საწარმოებისა და შენობების საექსპლუატაციოდ მისაღებად. საწარმოების, შენობების, ნაგებობების საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ ხურავს ნაკრებ ხარჯთაღრიცხვებს;

— კაპიტალური მშენებლობის განხორციელებისას უპირატესობას ანიჭებს საიჯარო წესით სამუშაოთა წარმოებას. ამასთან გაერთიანებაში შესაძლებელია მასში შემავალი კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური მშენებლობის დამკვეთის ფუნქციები შესრულდეს ცენტრალიზებულად;

— გაერთიანება ორგანიზაციას უკეთებს ძირითადი ფონდების კაპიტალურ შეკეთებას, მოდერნიზაციას, მოწყობილობის ტექნიკური დონისა და მწარმოებლობის ამაღლებას, საწარმოების, აგრეთვე შენობებისა და ნაგებობების ტექნიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას;

— ძირითადი საშუალებების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ხორციელდება როგორც სამეურნეო, ისე საიჯარო წესით;

— საიჯარო ორგანიზაციებს, მათი თანხმობით, გადასცემს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს პირდაპირი ხელშეკრულებებით და ამისათვის შესაბამის შრომის ლიმიტს, ფონდსა და მასალებს. ამის შესახებ ატყობინებს ზემდგომ ორგანოებს;

— აკონტროლებს იმას, თუ როგორ წარადგენენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები კაპიტალურ დაბანდებებზე ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს დადგენილი ფორმების შესაბამისად როგორც ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, ისე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახორციელებს გაერთიანების ნომენკლატურაში შემავალი მუშაკების, აგრეთვე გაერთიანების აპარატის შერჩევასა და განაწილებას, ამუშავებს და ახორციელებს მეურნეობებში კადრების რეზერვების შექმნისა და ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურების ღონისძიებებს. განსაზღვრავს კადრებზე მოთხოვნილების პერსპექტივას;

— ახორციელებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული მუშახელის კვალიფიციურ მომზადებასა და გადამზადებას, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროფესიების ათვისების ღონისძიებებს გამოყოფილი ფინანსური საშუალებების ფარგლებში;

— დადგენილი წესით ამტკიცებს გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საბჭოთა მეურნეობებისათვის, სამრეწველო და სხვა სახელმწიფო საწარმოებისათვის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურების ჯგუფს;

— კონტროლს აწესებს კოლმეურნეობებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული შრომის ანაზღაურების რეკომენდაციების განხორციელებისა და მატერიალური წახალისების ფონდების ხარჯვისადმი;

— თანმიმდევრულად ახორციელებს კოლექტივებისა და მუშაკების მატერიალური დაინტერესების პრინციპებს. პროფკავშირებთან შეთანხმებით განსაზღვრავს გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების პირობებს, მაჩვენებლებსა და ოდენობას და აძლევს ნებართვას პრემიების გაცემაზე;

— უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მართვის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფას;

— პროფკავშირებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობას ეწევა წარმოების მართვის საქმეში მშრომელთა მასების ჩაბმისათვის, სოცშეჯიბრების განვითარებისათვის, კომუნისტური შრომისათვის, კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

— საწარმოო აუცილებლობისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის გათვალისწინებით გაერთიანების შიგნით ახორციელებს შრომითი რესურსების დროებით გადანაწილებას;

— ახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად, რენტაბელობის ასამაღლებლად, უზრუნველყოფს მთელი საბრუნავი საშუალებების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას, მისი ბრუნვადობის დაჩქარებას, ბიუჯეტთან და მომწოდებლებთან დროულ ანგარიშსწორებას. დახმარებას უწევს გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებს ამ ღონისძიებათა განხორციელებაში;

— კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს გაერთიანებაში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საბრუნავი საშუალებების, საამორტიზაციო ფონდებისა და სხვა საშუალებათა გადანაწილებას;

— გაერთიანების საკუთარი საბრუნავი სახსრების დანაკლისის დაფარვა ხდება გაერთიანებაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ცენტრალიზებულ ფონდებში შენატანების შემცირების ხარჯზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დადგენილი წესით აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებასა და ანგარიშწარმოებას;

— დადგენილ ვადებში წარუდგენს შესაბამის ორგანოებს გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ანგარიშებსა და ბალანსებს;

— დიფერენცირებულად განსაზღვრავს გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობებსა, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საფინანსო-საანგარიშსწორებო ფასებს პროდუქციაზე, რომელიც ერთი საწარმოდან გადაეცემა მეორეს დასასრულებლად (გამოსაზრდელად), აგრეთვე სამუშაოებისა და მომსახურებისათვის, რომელსაც ერთი საწარმო ასრულებს მეორესათვის;

— ამოიღებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, რომლებიც გაერთიანებაში შედიან, ზედმეტ (ნორმატივზე მეტ) საბრუნავ საშუალებებს, გადაუნაწილებს იმ საწარმოებს, რომლებსაც საბრუნავ სახსრებში დანაკლისი აქვთ, ხოლო სხვაობას გადაურიცხავს სამინისტროს საბრუნავი სახსრების გადანაწილების ანგარიშზე, სახელმწიფო ბანკის (მშენბანკის) დაწესებულებებს აძლევს დავალებას ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშებიდან იმ სახსრების ჩამოწერაზე, რომლებიც საფინანსო გეგმით ექვემდებარება გადანაწილებას, ზედმეტ საკუთარ საბრუნავ საშუალებებზე, აგრეთვე სახსრებზე, რომლებიც მათ მიიღეს ცენტრალიზებული ფონდიდან დაბრუნების პირობით და თავის დროზე არ დაუბრუნებიათ;

— დადგენილი წესით წარუდგენს სახელმწიფო ბანკის (მშენბანკის) დაწესებულებებს, აგრეთვე ზემდგომ ორგანოებს განაცხადებს გაერთიანებისათვის საჭირო კრედიტებზე. თავის განკარგულებაში რეზერვად იტოვებს კრედიტების ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია საკრედიტო გეგმით, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს აძლევს გარანტიებს იმ კოლმეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საკრედიტო ვალდებულებებზე, რომლებიც გაერთიანებაში შედიან.

31. გაერთიანებას უფლება აქვს მასში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსებიდან ჩამოწერის მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი და ინსტრუმენტები, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია, ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და არ შეიძლება მათი რეალიზაცია.

VI. გაერთიანების საწარმოო და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზია

32. გაერთიანების საწარმოო, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიას აწყობს სარევიზიო კომისია წელიწადში ერთხელ მაინც, თავის საქმიანობაში სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია სრულუფლებიან წარმომადგენელთა კრების წინაშე.

33. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს გაერთიანების თანამდებობის პირებს საჭირო დოკუმენტების და ახსნა-განმარტების წარმოდგენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევიზიის შედეგებზე სარევიზიო კომისია მოახსენებს გაერთიანების საბჭოს და წარმომადგენელთა კრებას და იმ ორგანოს, რომელიც ახორციელებს გაერთიანების ხელმძღვანელობას.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და წევრები რევიზიის დროს თავისუფლდებიან ძირითადი სამუშაოდან და უნარჩუნდებათ საშუალო გამომუშავება რევიზიის მთელ პერიოდში.

34. გაერთიანების საწარმოო-საფინანსო საქმიანობას ამოწმებენ ზემდგომი ორგანო და სხვა ორგანოები თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

VII. გაერთიანების რეორგანიზაცია და მისი საქმიანობის შეწყვეტა

35. გაერთიანების რეორგანიზაცია და მისი საქმიანობის შეწყვეტა ხდება წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით მას შემდეგ, რაც ამ საკითხს განიხილავს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ორგანო, რომელიც უფლებამოსილია შექმნას საწარმოო გაერთიანება.

გაერთიანების საქმიანობის ლიკვიდაციას ახორციელებს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც აირჩევს რწმუნებულთა კრება და დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომი.

ქონება და ფულადი სახსრები, რაც დარჩება სახბანკისა და მშენბანკის კრედიტებისა და სხვა დავალიანების დაფარვის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობით განაწილდება გაერთიანების მონაწილეთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 2 ივნისის № 367
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს შესახებ

1. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო იქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად და თავის საქმიანობაში ემორჩილება სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოსა და მის აღმასკომს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო არის რაიონის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხელმძღვანელობის მთავარი ორგანო.

3. სოფლის მეურნეობის სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება სოფლის მეურნეობის სამმართველოს საქმიანობას, შესაბამისი ზემდგომი ორგანოების ბრძანებებით, ინსტრუქციებით, მითითებებით და ამ დებულებით.

4. სოფლის მეურნეობის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარება და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება;

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყოველმხრივი გაზრდა;

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

— კოლმეურნეობების, დაქვემდებარებული საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების ეკონომიკის განმტკიცება;

— სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავების, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარების საფუძველზე წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა, შინაგანი რეზერვების გამოვლინება და მაქსიმალური გამოყენება, წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და რენტაბელობის ამაღლება.

5. სოფლის მეურნეობის სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად:

— ხელმძღვანელობს რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ახორციელებს ღონისძიებებს მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული გეგმიანი დავალებების საფუძველზე ადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის საეგმო დავალებათა პროექტებს თითოეული მეურნეობის მიხედვით და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვის გეგმებს უგზავნის მეურნეობებს;

— გამოყოფილი ლიმიტების ფარგლებში აწესებს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას, ამტკიცებს და საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს აძლევს ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებებს, ხელფასის ფონდებსა და მმართველობის აპარატის შესანახ ზღვრულ ასიგნებებს;

— აწყობს მეურნეობათა განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების, აგრეთვე მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმების შემუშავებას, განიხილავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საწარმოო-საფინანსო გეგმებს, აერთიანებს მათ კრებსით გეგმებში და განსახილველად წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს;

— უზრუნველყოფს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების დროულად შესრულებას;

— ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების პრინციპების დაცვას;

— უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში, აღრიცხვასა და მართვაში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების, გამოთვლითი და ორგანიზაციული ტექნიკის საშუალებების, აგრეთვე სადისპეტჩერო სამსახურის დანერგვას;

— შეიმუშავებს და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, თესლბრუნვის შემოღების, სასუქების და ნიადაგის დამუშავების რაციონალური სისტემის გამოყენების, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვ. საფუძველზე უზრუნველყოფს ღონისძიებების განხორციელებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის;

— ხელმძღვანელობს მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვას და მომხმარებლისათვის მიწოდებას;

— აწყობს სასელექციო და მეთესლეობის მუშაობას მეურნეობებში, იღებს ზომებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების უზრუნველსაყოფად დარაიონებული ჯიშების სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლით;

— იღებს ზომებს სრულფასოვანი და იაფი საკვების წარმოების ყოველმხრივ გადიდებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოფს ორგანული სასუქების მაქსიმალურად დაგროვებასა და რაციონალურად გამოყენებას, ნერგავს ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების პროგრესულ ტექნოლოგიას;

— უზრუნველყოფს ყოველ მეურნეობაში პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდას, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას; შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადასაყვანად;

— უზრუნველყოფს მელიორირებული მიწების სრულად და მაღალპროდუქტიულად გამოყენებას, წყალსარგებლობის სამეურნეო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას; მეურნეობებში რწყვის პროგრესული საშუალებებისა და წყლის მომჭირნეობით გამოყენების დანერგვას, შიდასამეურნეო სარწყავი, დასაშრობი და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა წესიერ მდგომარეობაში შენახვას, მლაშობი მიწების დროულად გარეცხვას, მჟავე ნიადაგების გაკირიანებას და მლაშობი ნიადაგების გათაბაშირებას, ახორციელებს მიწების ნაყოფიერების ამაღლების სხვა ღონისძიებებს;

— ხელმძღვანელობას უწევს საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო საქმიანობას, კონტროლს უწევს მათ მიერ საფინანსო გეგმების, ხარჯთაღრიცხვებისა და სახელმწიფოს წინაშე ფინანსურ ვალდებულებათა შესრულებას, აწყობს და დადგენილი წესით ახორციელებს მათ დაფინანსებას, განაცხადების საფუძველზე, განსაზღვრავს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებას კაპიტალური მშენებლობის კრედიტებზე, ტექნიკის შეძენასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სხვა ღონისძიებებზე, კონტროლს უწევს კრედიტების სწორად გამოყენებას;

— იღებს ზომებს მეურნეობათა სახსრების ისეთი მიზნებით გამოყენების წინააღმდეგ, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან;

— კონტროლს უწევს კოლმეურნეობათა სახსრებიდან ანარიცხების დროზე შეტანას კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში;

— ხელმძღვანელობს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სამუშაოებს, ეხმარება კოლმეურნეობებს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მოწყობაში, ახორციელებს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შიდასაუწყებო კონტროლს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების პერიოდული და წლიური საბუღალტრო ანგარიშების მიღებას და კრებსით დოკუმენტებად გაერთიანებას, დადგენილი წესით წარუდგენს მათ შესაბამის ორგანოებს, ნერგავს საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ანალიზს უკეთებს კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების წლიურ ანგარიშებს და განსახილველად წარუდგენს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს;

— ახორციელებს მეურნეობათა ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების შერჩევასა და განაწილებას, უზრუნველყოფს კადრების შენარჩუნებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ახალგაზრდობიდან სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და მასობრივი პროფესიების კადრების მომზადებას, ადგილობრივ სოფლის ახალგაზრდობას გზავნის სასწავლებლად უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

— კონტროლს უწევს ხელფასის ფონდების გამოყენებას საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ამ საწარმოთა მუშაკების, აგრეთვე კოლმეურნეების მატერიალური დაინტერესების პრინციპების დაცვას, შრომის ანაზღაურებისა და წახალისების მოქმედი სისტემების სწორად გამოყენებას, უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის სწორ თანაფარდობას, აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას;

— კონტროლს უწევს კაპიტალური მშენებლობისა და ასამუშავებელი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების შესრულებას, მონაწილეობას იღებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი გაიაფების ღონისძიებათა შემუშავებაში, დადგენილი წესით აწყობს სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებასა და დამტკიცებას;

— ახორციელებს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ღონისძიებებს, კონტროლს უწევს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დაცვას საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში;

— აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის;

— შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, კონტროლს უწევს მეურნეობების კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა ფონდების სახსრების გამოყენებას;

— დახმარებას უწევს დამხმარე საწარმოებისა და სარეწების შექმნასა და განვითარებას, იღებს ზომებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების მოწყობისათვის, საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებისათვის;

— აწყობს კოლმეურნეობათა წესდების, აგრეთვე მათი ცვლილებებისა და დამატებების რეგისტრაციას, კონტროლს უწევს კოლმეურნეობათა წესდებების, კოლმეურნეობების საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას, კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შეხამებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განიხილავს და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს წარუდგენს წინადადებებს კოლმეურნეთა საჩივრებზე კოლმეურნეობიდან მათი გარიცხვის შესახებ, სტიქიური უბედურებით დაზარალებული კოლმეურნეებისათვის საშემოსავლო გადასახადის გადახდის მიმდინარე წლის ფარგლებში განვადების შესახებ, აგრეთვე ასეთ კოლმეურნეებისათვის გადასახადის გადახდის უფრო ხანგრძლივი დროით განვადების ან შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯზე გადახდისაგან მათი მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლების თაობაზე სათანადო ორგანოებში შუამდგომლობის აღძვრის შესახებ, კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრების (რწმუნებულთა კრებების) და კოლმეურნეობათა გამგეობების კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ;

— უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად და სწორად განხილვას და გადაწყვეტას, ამოწმებს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობესა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

6. სოფლის მეურნეობის სამმართველო რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ ახორციელებს შემდეგ საკოორდინაციო-საკონტროლო ფუნქციებს:

— შეიმუშავებს რაიონული საგეგმო ორგანოების მონაწილეობით რაიონის სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმღები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების განლაგებისა და განვითარების გეგმების პროექტებს;

— აწყობს მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდას და დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, დახმარებას უწევს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ სწავლებას;

— თავისი კომპენტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს რაიონში მთელი მიწების გამოყენებას, მიწათმოსარგებლეთა მიერ მიწის ნაყოფიერების ამაღლების, მათი მორწყვისა და დაშრობის, ნიადაგების ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მინდორსაცავი ტყის ნარგავების შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას;

— უზრუნველყოფს მიწათმოწყობის სამუშაოთა შესრულებას, გასცემს დასკვნებს რაიონის ტერიტორიაზე წარმოებულ მიწათმოწყობის სამუშაოთა გეგმების გამო; უზრუნველყოფს სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით რაიონში მიწების სახელმწიფო აღრიცხვისა და მიწის კადასტრის წარმოებას, რაიონის მიწის ბალანსის შედგენას;

— კონტროლს უწევს მეცხოველეობაში სანაშენო საქმისა და ცხოველთა ხელოვნური დათესვლის საკითხებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების შესრულებას;

— ახორციელებს ვეტერინარულ ზედამხედველობას რაიონში, აწყობს და კონტროლს უწევს ცხოველთა დაავადების თავიდან აცილებისა და ლიკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაციის, აგრეთვე სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებათა შესრულებას;

— კონტროლს უწევს თესლისა და სარგავი მასალის ხარისხს და უზრუნველყოფს მათ გამოყენებას;

— ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ ნათესებისა და ნარგავების დაცვის, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის სავალდებულო ღონისძიებების შესრულებისადმი, ქიმიურ საშუალებათა გამოყენებისა და მცენარეთა კარანტინის წესების შესრულების დროს უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვისადმი;

— ორგანიზაციას უკეთებს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების, დაავადებების და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებას, მათ გამოვლენას და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების გამოჩენისა და განვითარების შესახებ დროულად სიგნალის მიცემას;

— კონტროლს უწევს მინერალური სასუქების სწორად გამოყენებასა და შენახვას, პესტიციდების გამოყენების დაწესებული რეგლამენტების უსასტიკესად დაცვას, რაც თავიდან აგვაცილებს დაწესებული უსაფრთხო ნორმების გადამეტებით შხამქიმიკატების ნარჩენი რაოდენობის დაგროვებას სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, ნიადაგში, წყაროებსა და გარემოს სხვა ობიექტებში;

— ზედამხდველობას უწევს ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკურ მდგომარეობას, აგრეთვე მათი ტექნიკური ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვისა და ჩამოწერის წესების დაცვას;

— დადგენილი წესით აკონტროლებს კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და მოქალაქეების მიერ ბუნების დაცვის კანონმდებლობის განხორციელებას, აგრეთვე დაინტერესებულ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან ერთად ბუნებრივი რესურსებისა და ცხოველთა სამყაროს შენარჩუნებისა და აღდგენის ღონისძიებათა შესრულებას;

— ეწევა მუშაობას რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების დებულებების (წესდების), აგრეთვე მათი ცვლილებებისა და დამატებების რეგისტრაციისათვის, იხილავს და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს წარუდგენს წინადადებებს სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებებისა და საბჭოების იმ გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, რომლებიც კანონმდებლობას ეწინააღმდეგება;

— მონაწილეობას იღებს სოფლის დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კომპლექსებისა და საწარმოების მშენებლობისათვის საჭირო ნაკვეთების შერჩევაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამზადებს და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის განსახილველად წარადგენს წინადადებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების და სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებზე, რომლებიც სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის კომპეტენციაში შედის;

— დახმარებას უწევს მოსახლეობას პირადი დამხმარე მეურნეობის მოწყობაში.

7. სოფლის მეურნეობის სამმართველოს უშუალო გამგებლობაშია რაიონის ვეტერინარული სამსახური, ცხოველთა სანაშენო საქმისა და ხელოვნური დათესვლის სადგური, მიწათმოწყობის სამსახური, მცენარეთა დაცვის სამსახური, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური და მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციები.

8. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფლება აქვს:

ა) მოისმინოს რაიონის კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, მიიღოს გადაწყვეტილებანი, ხოლო საჭირო შემთხვევებში წარუდგინოს თავისი წინადადებანი შესაბამის ზემდგომ ორგანოებს;

ბ) დააყენოს შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე საკითხი იმ პირების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც დამნაშავენი არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ღონისძიებათა შესრულების დროს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევაში;

გ) მიიღოს რაიონში მდებარე საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან საჭირო მასალები და ცნობები სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

9. სოფლის მეურნეობის სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც დაამტკიცებს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

10. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს საბჭოს სესიებს შორის პერიოდში შეუძლია დანიშნოს სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და გაათავისუფლოს იგი ამ მოვალეობის შესრულებისაგან, რაც შემდეგ მტკიცდება საბჭოს მორიგ სესიაზე.

11. სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ნიშნავს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

12. სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი:

— ხელმძღვანელობს სამმართველოს საქმიანობას, უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეიტანს სოფლის მეურნეობის საკითხებზე მისაღებ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა პროექტებს;

— სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აქტების საფუძველზე;

— ახორციელებს მოქალაქეთა მიღებას, იხილავს მოქალაქეთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს და იღებს მათ გამო საჭირო ზომებს;

— განაგებს კრედიტებსა და სახსრებს დაწესებული ხარჯთაღრიცხვებისა და ასიგნებათა ფარგლებში;

— უზრუნველყოფს საფინანსო საშტატო დისციპლინის დაცვას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ-ფასეულობათა მოვლა-შენახვას;

— იღებს და დაითხოვს სამუშაოდან დადგენილი წესით სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით;

— ამტკიცებს სოფლის მეურნეობის სამმართველოს საქვეუწყებო დაწესებულებათა გეგმებსა და ანგარიშებს, ადგენს პერიოდულ და წლიურ გეგმებსა და ანგარიშებს სამმართველოს მუშაობის შესახებ და წარუდგენს მას სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შესაბამის ზემდგომ ორგანოს.

13. სოფლის მეურნეობის სამმართველოს საქმიანობისადმი კონტროლს ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

14. სოფლის მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაცია ან გაუქმება ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

15. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე.

16. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სანაკრძალო საქმის გაძლიერების, აღკვეთილთა და ბუნების ძეგლთა დაცვის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭო აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში გარკვეულად გაუმჯობესდა სახელმწიფო ნაკრძალების მდგომარეობა, განმტკიცდა მათი მატერიალური და ფინანსური ბაზა, ამაღლდა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დონე, შეიქმნა ახალი ნაკრძალები ყახბეგში, ლიახვის ნაკრძალი, პალიასტომის მუდმივი აღკვეთილი და სხვა. ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობათა მუშაობაზე დადებითად იმოქმედა მათმა გადაცემამ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსათვის.

ამასთანავე სახელმწიფო ნაკრძალების, აღკვეთილთა და ბუნების ძეგლთა დაცვის საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი.

კვლევითი სამუშაოები წარმოებს არასრულყოფილად, რის შედეგად დაბალია დამუშავებული თემების დონე, ჭიანურდება სამეცნიერო თემების შესრულების ვადები, ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ცუდ მდგომარეობაშია ან არ გააჩნიათ შესაბამისი შენობა-ნაგებობანი, არადამაკმაყოფილებელია მათი ტექნიკური აღჭურვილობის დონე.

ნაკრძალებში არის სანაკრძალო რეჟიმის უხეში დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე სისტემატურად აძოვებენ პირუტყვს, ხოლო ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია სათიბად გაუნაწილეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რაც საფრთხეს უქმნის უნიკალური ტყეების კვლავწარმოებას, კვლავ ბინძურდება ალგეთის ნაკრძალის ტერიტორია და მდინარე ალგეთი მეცხოველეობის ფერმებიდან ჩამდინარი წყლით. მაიაკოვსკის, ბორჯომისა და თეთრი წყაროს რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ქმედით ზომებს არ იღებენ აღნიშნული დარღვევების აღსაკვეთად.

საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველომ აჯამეთის ნაკრძალში ბურღვის სამუშაოთა შესრულების დროს, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 16 სამშენებლო ტრესტმა ბიჭვინთის ნაკრძალში — ძლიერ დააზიანეს ტყის კორომები.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზებული სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს დანაშაულებრივ-დაუდევარი დამოკიდებულებისა და ჯეროვანი კონტროლის გაუწევლობის გამო, აუადხარა-ფსხუს საავტომობილო გზის მშენებლობის დროს დაიღუპა დიდძალი ძვირფასი ჯიშის ხე.

არადამაკმაყოფილებელია ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის სანიტარიული მდგომარეობა, სადაც ლაფანჭამიის მიერ ნაძვის ნარგავების დაზიანების შედეგად ხეების მნიშვნელოვანი ნაწილი გახმა, რაც თავის მხრივ ხანძრის დიდ საშიშროებას ქმნის. აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან წინათ არსებულმა ნაკრძალებისა და სამონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ თავის დროზე არ მიიღო სასარგებლო ზომები.

ნაკრძალებში კვლავ თვითნებურად ჭრიან ხეებს. მაგალითად, 1976 წელს ლაგოდეხის ნაკრძალში თვითნებურად მოჭრილია 109 კუბური მეტრი ხე, აჯამეთის ნაკრძალში — 16,3 კუბური მეტრი, რიწის ნაკრძალში — 22,5 კუბური მეტრი. 1977 წელს ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალში მოჭრილია 21 კუბური მეტრი, ბორჯომის ნაკრძალში — 18,1 კუბური მეტრი, საგურამოს ნაკრძალში — 4,6 კუბური მეტრი ხე.

აღნიშნული ნაკლოვანებანი და დარღვევები ადგილებზე ნაკრძალების ხელმძღვანელობის სუსტი მუშაობის შედეგია, რაც საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსაგან, მისი ნაკრძალებისა და საბონადირეო მეურნეობის სამმართველოსაგან მოითხოვს გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნების ძეგლებს (უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნი მღვიმე-გამოქვაბულები, ბუნებრივი რიყეები, ყინვარული წარმონაქმნები, ძველი ცალკეული რელიქტური კორომები, ხეები და სხვა) იცავს სახელმწიფო, ბევრი მათგანი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

სიღნაღის რაიონში უყურადღებოდ არის მიტოვებული ბოდბის მონასტრის ძველ ბაღში არსებული კვიპاროსების ხეივანი. ახმეტის რაიონში მოუვლელობის გამო დაიღუპა ბუნების ძეგლთა უმრავლესობა. ბუნების ძეგლებისადმი ასეთი დამოკიდებულების ფაქტები არის თელავის, საგარეჯოს, ონის, ამბროლაურის, ბორჯომისა და მესტიის რაიონებში.

ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ არ შეასრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ივნისის № 806 განკარგულება, 1969 წლის 6 მარტის № 116 და 1972 წლის 11 აგვისტოს № 433 დადგენილებანი წყალტუბოს რაიონში სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის — დინოზავრის იმ ნაკვალევის გადახურვის შესახებ, რომელსაც კლიმატური ზემოქმედების შედეგად უახლოეს პერიოდში სრული განადგურება ემუქრება.

რესპუბლიკის ქალაქების, რაიონებისა და ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას არ უწევენ ნაკრძალებს მათ წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად. ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ნაკრძალების, აღკვეთილთა და ბუნების ძეგლთა დაცვას, გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ სანაკრძალო რეჟიმის დამრღვევთა წინააღმდეგ.

რესპუბლიკაში სანაკრძალო საქმის გაძღოლის, აღკვეთილთა და ბუნების ძეგლთა დაცვის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს::

1. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბუნებრივი კომპლექსების თვითმყოფად პირობებში შენარჩუნებას, იმ პროცესების მეცნიერულ შესწავლას, რომლებიც მათში ადამიანის ჩაურევლად მიმდინარეობს, ფლორისა და ფაუნის ძვირფას სახეობათა დაცვისა და გაუმჯობესების საქმეს.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკრძალებში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებთან ერთად ხანგრძლივი პერიოდისათვის შეიმუშაოს სახელმწიფო ნაკრძალების სპეციფიკურობიდან გამომდინარე მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის კონკრეტული თემატიკა და უზრუნველყოს მისი დროულად და ხარისხოვნად შესრულება, რისთვისაც:

— სანაკრძალო მეურნეობები დააკომპლექტოს მეცნიერ მუშაკთა და სპეციალისტთა სათანადო კადრებით;

— გააძლიეროს მომთხოვნელობა მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისადმი;

— უზრუნველყოს მეცნიერული თემების დადგენილ ვადებში დამუშავება და წარმოებაში დროულად დანერგვა;

— ძირეულად გარდაქმნას სახელმწიფო ნაკრძალების სამეცნიერო საბჭოების მუშაობა;

— დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიმუშაოს და არსებული წესის მიხედვით დაამტკიცოს სახელმწიფო ნაკრძალების, აღკვეთილებისა და ბუნების ძეგლების დებულებანი.

სახელმწიფო ნაკრძალების დებულებაში გაითვალისწინოს ნაკრძალების ირგვლივ დაცვითი ზონების გამოყოფისა და მათში მეურნეობის წარმოების წესები;

— საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის ტყეთმოწყობის საწარმოსთან ერთად 1978 წლის ბოლომდე განსაზღვროს სახელმწიფო ნაკრძალების ირგვლივ დაცვითი ზონები და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად;

— 1980 წლის ბოლომდე უზრუნველყოს ნაკრძალების, ეროვნული პარკების, აღკვეთილებისა და სანადირო მეურნეობების განვითარების გენერალური სქემის შედგენა;

— შეისწავლოს ბორჯომის, კინტრიშისა და ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალების ტერიტორიის გაფართოების საკითხი და 1978 წლის 1 ოქტომბრამდე სათანადო წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად;

— შეიმუშაოს და განახორციელოს ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებანი. წესრიგში მოიყვანოს არსებული შენობა-ნაგებობანი, ხოლო იმ ნაკრძალებში, სადაც არ არის შესაბამისი შენობები ან მათი წესრიგში მოყვანა შეუძლებელია, გაითვალისწინოს ახლის მშენებლობა;

— საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შესაბამისი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად შეისწავლოს და განიხილოს ნაკრძალების ტერიტორიებზე პირუტყვის ძოვების, თიბვისა და სანაკრძალო რეჟიმის დარღვევის სხვა საკითხები და გადამჭრელი ზომები მიიღოს ამ დარღვევათა აღსაკვეთად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმთან და სამხედრო მონადირეთა საზოგადოებასთან ერთად განიხილოს მიწერილ სამონადირეო მეურნეობათა განლაგების სისწორე და ნაკრძალებთან მათი უშუალო სიახლოვის შემთხვევაში გააუქმოს სამონადირეო მეურნეობები;

— ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტყეების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხანძრის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით დროულად უზრუნველყოს „ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში ნაძვნარების მასობრივი ხმობით შექმნილი ხანძარსაშიში მდგომარეობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 ოქტომბრის № 688 დადგენილების შესრულება.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების გენერალური სქემის მიხედვით სახელმწიფო ტყის ფონდისათვის დასატოვებელი ტყის ფართობების, კოლხეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და მისი მიმდებარე პალიასტომის ტბის მუდმივი აღკვეთილის ბაზაზე კოლხეთ-პალიასტომის ნაკრძალის შექმნა, რისთვისაც საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასაბუთებული წინადადება მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე.

3. მთავარი კავკასიონის ფლორისა და ფაუნის დაცვის გაუმჯობესების მიზნით ეთხოვოს დაღესტნის ასსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საკითხი ლაგოდეხისა და ზაქათალის ნაკრძალების მომიჯნავე ტერიტორიებზე დაღესტნის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის შესახებ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით ყოველწლიურად გაითვალისწინოს სახელმწიფო ნაკრძალების სამეცნიერო შრომათა კრებულების, ცალკეული ნაკრძალების მეგზურების, ბუკლეტებისა და სხვათა გამოცემა.

5. რესპუბლიკაში სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით მათდამი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო გარდაიქმნას მთავარ სამმართველოდ. აღნიშნული ცვლილებანი მოხდეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსათვის 1978 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული მმართველობის აპარატის რიცხოვნობის, თვიური ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ნაკრძალების გათანაბრებისა და იქ მომუშავე მეცნიერ მუშაკებზე მეცნიერ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მოქმედი სისტემის გავრცელების საკითხი.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს სათანადო მასალა ამ საკითხზე.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. დაევალოს საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოს 1979 წელს უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 11 აგვისტოს № 433 დადგენილებით გათვალისწინებული სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული უნიკალური ძეგლის — დინოზავრის ნაკვალევის გადახურვის სამუშაოების შესრულება.

8. დაევალოს ლაგოდეხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს 1978 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის შენობიდან რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გადატანა.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ 1978 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეზერვიდან მისცეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობებისათვის 10 ათასი კვადრატული მეტრი მავთულბადე, 50 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 15 ტონა აირწყალსადენი მილები. 100 კილოვატიანი ორი ელექტროტრანსფორმატორი, ტმ-600 კილოვატიანი ორი ელექტროტრანსფორმატორი, 5 ეტლიანი მოტოციკლეტი, ორი გაზ-52-04 მარკის სატვირთო ავტომობილი.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა „საქბაგირგზების“ სამმართველომ 1978 წლის ბოლომდე შეისწავლოს სახელმწიფო ნაკრძალებში მსუბუქი ტიპის საბაგირო გზების მშენებლობის საკითხი და თავისი წინადადებები წარუდგინოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

11. ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს განიხილოს 1979 წელს რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენის საკითხი.

12. სანაკრძალო რეჟიმის დაცვის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ გააძლიერონ ზედამხედველობა რესპუბლიკაში სანაკრძალო რეჟიმის დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესრულებისადმი, მიიღონ გადამჭრელი ზომები კანონის დარღვევებთან დაკავშირებულ საქმეებზე დროული რეაგირებისათვის, მათი ხარისხიანად გამოძიებისა და სასამართლო განხილვისათვის.

13. დაევალოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომელთა მეთვალყურეობაშიც გადაცემულია ბუნების ძეგლები, განუხრელად შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 710 დადგენილებით გათვალისწინებული სახელმწიფო აღრიცხვაზე არსებული ბუნების ძეგლების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაონ სათანადო ფორმები ბუნების ძეგლებისა და ობიექტების პასპორტიზაციისათვის;

— საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად 1978 წლის ბოლომდე ჩაატარონ რესპუბლიკის ბუნების ძეგლებისა და ობიექტების სრული პასპორტიზაცია და მის საფუძველზე ცალკეული ობიექტებისათვის შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებები.

15. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ მათ ტერიტორიაზე არსებული ბუნების ძეგლების მოვლა-დაცვის ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივად გამოყენება, გააუმჯობესონ მუშაობა სანაკრძალო მეურნეობის გაძღოლის, აღკვეთილებისა და ბუნების ძეგლების დაცვისათვის, სისტემატურად მოისმინონ თავიანთ სხდომებზე ნაკრძალების ხელმძღვანელთა ანგარიშები და დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სანაკრძალო მეურნეობის გაძღოლის, აღკვეთილთა და ბუნების ძეგლთა დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების, ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ ბუნების დაცვის საქმეში ნაკრძალების როლი, პოპულარიზაცია გაუწიონ რესპუბლიკაში არსებულ ყველა სანაკრძალო ობიექტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 8 ივნისი, № 379

ეროვნული ბიბლიოთეკა

41 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დებულების, მასთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულებისა და ამ საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს თანდართული დებულება.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თანდართული დებულება.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შემადგენლობა. თან ერთვის.

4. საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიას მიეცეს უფლება შეიტანოს დამატებანი და ცვლილებანი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 12 ივნისი, № 384

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 12 ივნისის № 384
დადგენილებით

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი ნაწილი

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, შემდგომში „მთავარ სამმართველოდ" წოდებული, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილებით, წარმოადგენს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სამეცნიერო-სამეურნეო ორგანიზაციას დამოუკიდებელი ბალანსით და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

2. მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში შედის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი ორგანიზაციები, დაწესებულებები და ძეგლები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილებითა და მისი დანართებით.

3. მთავარი სამმართველო თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მთავრობების დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროების ბრძანებებით, ინსტრუქციებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და ითვალისწინებს მთავარ სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს რეკომენდაციებს.

II. მთავარი სამმართველოს ფუნქციები და ამოცანები

4. მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეს.

ამ ამოცანის განსახორციელებლად მთავარი სამმართველო:

— აწარმოებს ისტორიის, არქიტექტურის, არქეოლოგიის, მონუმენტური ფერწერის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა გამოვლენას, აღრიცხვას, დაცვითი ზონების დადგენას, მათ რეგისტრაციასა და ფიქსაციას;

— გამოვლენილ და აღრიცხულ ძეგლებს მოვლა-პატრონობისათვის აბარებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს;

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აწარმოებს ძეგლების მეცნიერულ შესწავლას, რესტავრაციას საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციისა და გამოყენება-ადაპტაციის პროექტების მომზადებას;

— სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე განიხილავს და მიიღებს ძეგლების რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტებსა და მოსაზრებებს წარმოებაში მათი გადაცემისათვის;

— ამოწმებს ძეგლთა დაცვის ადგილობრივი ორგანოების, სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო სახელოსნოების გაერთიანებისა და სხვა ორგანიზაციების ძეგლებთან დაკავშირებულ საქმიანობას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

— განიხილავს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ წინადადებებს ძეგლების მდგომარეობის შესახებ და ახორციელებს ღონისძიებებს მათი დაცვისა და გამოყენებისათვის;

— ხელმძღვანელობს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, მხარეთმცოდნეობისა და ძეგლ-მუზეუმების საქმიანობას ძეგლთა დაცვისა და სამუზეუმო საქმიანობის სისტემის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით;

— წარადგენს დასაბუთებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს იმ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შედგენისას, სადაც არსებობს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, აგრეთვე მათი დაცვითი ზონები;

— ადგენს და აღრიცხავს სხვა უწყებების მიერ მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებულ ძეგლებს და აწარმოებს სათანადო დაცვითი-საიჯარო ხელშეკრულებით მათი იჯარით გადაცემას;

— პროპაგანდას უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეს;

— ცალკეულ შემთხვევებში იძლევა ნებართვას ძეგლების სარესტავრაციო-სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად მთავარი სამმართველოს წარმომადგენლის მეთვალყურეობით;

— კულტურის ადგილობრივ ორგანოებს აძლევს მითითებებს დაიცვან ახლად აღმოჩენილი ძეგლები, ვიდრე მათი სახელმწიფო დაცვაზე აყვანის საკითხი გადაწყდებოდეს დადგენილი წესის მიხედვით;

— ძეგლთა თვითნებურად გამოყენების, დაზიანების ან მოსპობის შემთხვევაში აღძრავს საკითხს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად;

— ნიშნავს და ათავისუფლებს სპეციალურ სარესტავრაციო სამეცნიერო-საწარმოო სახელოსნოების გაერთიანების მთავარ ინჟინერს, მთავარ არქიტექტორს, მთავარ ბუღალტერს, ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის დირექტორს, მის მოადგილეს და მთავარ ბუღალტერს, ასევე მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული მუზეუმების დირექტორებს;

— ამტკიცებს მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების დებულებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აწარმოებს ძეგლების უშუალო დაცვას მის მიერ დადგენილ ობიექტებზე, ხოლო მცველების დანიშვნასა და მათი მუშაობისადმი კონტროლს ახორციელებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საშუალებით;

— განიხილავს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების გარშემო არსებული ლანდშაფტის დაცვის საკითხებს.

5. მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა, მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ სათანადო წესების დაცვით მოინახულონ საქართველოს სს რესპუბლიკაში განლაგებული ყველა ძეგლი, დაათვალიერონ, გამოიკვლიონ, ფოტოფირზე აღბეჭდონ, ჩახატონ და გააკეთონ მათი ანაზომები.

6. მთავარი სამმართველო თავის პრაქტიკულ მუშაობას ახორციელებს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან, იმ სამეცნიერო, საპროექტო და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით, რომლებიც ახორციელებენ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა შესწავლას, დაცვას, რესტავრაციასა და პროპაგანდას.

7. მთავარ სამმართველოს აქვს თავისი ბეჭედი საქართველოს სსრ გერბის გამოსახულებით და შტამპი, აგრეთვე შტამპები სამეცნიერო-სარესტავრაციო დოკუმენტებისათვის, დაცვითი ზონის პროექტისათვის და არქეოლოგიური გათხრების საწარმოებლად „ღია ფურცლის“ რეგისტრაციისათვის.

8. მთავარი სამმართველოს ფულად სახსრებს შეადგენს: ძეგლებით სარგებლობის საიჯარო ქირა, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მიერ გამოყოფილი თანხები, სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანების მიერ ჩატარებული სამუშაოების დანარიცხები, კულტურის ძეგლთა კაპიტალური შეკეთების, გამაგრებისა და რესტავრაციის სამუშაოებისათვის ყოველწლიურად განკუთვნილი სახსრების ანარიცხები და სპეცსახსრები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული თანხები.

9. მთავარ სამმართველოსთან ძეგლთა დაცვის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და ადაპტაციის მეთოდებისა და პრინციპების მეცნიერული დასაბუთებისათვის შექმნილია სამეცნიერო-მეთოდური საბჭო საზოგადოებრივ საწყისებზე, რომლის დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

III. მთავარი სამმართველოს სტრუქტურა

მ უ შ ა ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა და უ ფ ლ ე ბ ა-მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ნ ი

10. მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სათაოში უდგას უფროსი, რომელიც ამავე დროს ითვლება საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილედ. მას ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგია მთავარი სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მთავარი სამმართველოს უფროსი:

— პერსონალურად პასუხისმგებელია მთავარი სამმართველოს მუშაობის სწორი ორგანიზაციისათვის;

— არის ძეგლთა დაცვისა და მთავარი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული მუზეუმების საქმიანობის ხაზით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კრედიტის განმკარგულებელი;

— გამოითხოვს სამეცნიერო და ყველა სხვა ორგანიზაციისაგან ძეგლთა დაცვასა და სამუზეუმო საქმესთან დაკავშირებულ საჭირო მასალებს (პასპორტები, ისტორიული ცნობები, ფოტოები, ძეგლთა ტექნიკური მდგომარეობის აქტები, სამშენებლო დაგეგმვის პროექტები, დაცვითი ზონებისა და რესტავრაციის პროექტები, ექსპერტიზის დასკვნები, საარქივო და სხვა მასალები), აგრეთვე შესრულებული სამუშაოების ანგარიშებს ძეგლთა რესტავრაციისა და დაცვის შესახებ;

— ძეგლთა დაცვის, რესტავრაციისა და სამუზეუმო საკითხებზე დასკვნების მოსამზადებლად იწვევს ექსპერტებს, რომლებსაც სათანადო წესის მიხედვით უხდის გასამრჯელოს;

— აჯილდოებს მთავარი სამმართველოს მუშაკებს პრემიებით და სხვა სახის წახალისებით საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— უზრუნველყოფს მთავარი სამმართველოს აპარატში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას;

— გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებს, დებულებებსა და სხვა დოკუმენტებს ძეგლთა დაცვასა და სამუზეუმო საქმესთან დაკავშირებით;

— ამტკიცებს სამმართველოებისა და განყოფილებების სამუშაო გეგმებს;

— განსაზღვრავს მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებსა და ფუნქციებს;

13. მთავარი სამმართველოს სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 12 ივნისის № 384
დადგენილებით

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. სამეცნიერო-მეთოდური საბჭო არსებობს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან საზოგადოებრივ საწყისებზე, იკრიბება მისი მოწვევით და მუშაობს მთავარი სამმართველოს უფროსის ხელმძღვანელობით.

2. საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას მთავარი სამმართველოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების თანახმად.

3. საბჭოს შემადგენლობაში შედიან სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერები ისტორიის, ხელოვნების, არქეოლოგიის, არქიტექტურის და სპელეოლოგიის დარგში.

4. სამეცნიერო-მეთოდური საბჭო არის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მაკოორდინირებელი ორგანო; მისი საშუალებით ხორციელდება ძეგლთა დაცვის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და ადაპტაციის მეთოდებისა და პრინციპების მეცნიერული დასაბუთება.

5. სამეცნიერო-მეთოდური საბჭო იხილავს საპროექტო მოსაზრებებს, წინადადებებს, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმებსა და მეთოდიკას და იძლევა რეკომენდაციებს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმების დასამტკიცებლად.

6. იხილავს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების წლიურ და ხუთწლიან გეგმებსა და პროექტებს იმ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების შესახებ, რომელთაც აქვთ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, დაცვითი და სამშენებლო რეგულირების ზონები.

7. იხილავს ძეგლთა დაცვის ზონებისა და მათი გამოყენების საკითხებს.

8. საჭიროების შემთხვევაში იხილავს ბუნების დაცვის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებთან.

9. იხილავს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოებიս მუშაობის გეგმასა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგებს.

10. საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ მთავარი სამმართველოს მოწვევით ყოველი წლის დასაწყისში იხილავს ინფორმაციას გასული წლის მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეღეგების შესახებ, ხოლო წლის ბოლოს იხილავს და რეკომენდაციებს იძ-ლევა მომავალი წლის მუშაობის გეგმების შესახებ.

11. საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს ახორციელებს მთავარი სამმართველო.

12. სამეცნიერო-მეთოდური საბჭო ან მისი წევრების გარკვეული ნაწილი საჭიროების შემთხვევაში საკითხს იხილავს ადგილზე.

13. საბჭოს შეკრებებს შორის საკითხებს წინასწარ იხილავს და საბჭოზე გასატანად ამზადებს მთავარი სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1978 წლის 12 ივნისის № 384
დადგენილებით

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდური საბჭო

ირ. ციციშვილი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე (სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე).

ნ. აღხაზიშვილი — მთავარი სამმართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა რესტავრაციის სამმართველოს უფროსი.

ა. აფაქიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანტიკური არქეოლოგიის განყოფილების გამგე.

ვ. ბერიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

ი. გვერდწითელი — მთავარი სამმართველოს საპროექტო ბიუროს უფროსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

მ. დვალი — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანების მთავარი არქიტექტორი.

თ. ვირსალაძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგე.

ვ. ზაქარაია — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე.

თ. იაკაშვილი — სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი ტექნიკური ლაბორატორიის გამგე.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. კინწურაშვილი — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ძეგლთა აღწერის განყოფილების გამგე.

თ. კვირკველია — არქიტექტურის დოქტორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი.

ი. ლაღიძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

თ. კიკნაძე — გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე.

ო. ლორთქიფანიძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, არქეოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი.

ნ. მგალობლიშვილი — არქიტექტურის კანდიდატი, პროფესორი, თბილისის მთავარი არქიტექტორი.

კ. მეგრელიშვილი — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ვ. მერკვილაძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

რ. მეფისაშვილი — არქიტექტურის დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

გ. მირიანაშვილი — საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე, არქიტექტურის კანდიდატი.

ე. პრივალოვა — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

გ. რამიშვილი — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანების უფროსი.

ლ. რჩეულიშვილი — პროფესორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე.

ო. სანებლიძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ. სანიკიძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი.

ზ. ტინტილოზოვი — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიის ლაბორატორიის გამგე.

ს. ქობულაძე — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

ა. ჯავახიშვილი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

ნ. ჯანბერიძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადამიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

გ. ჭეიშვილი — სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანების სამხატვრო სახელოსნოს ჯგუფის ხელმძღვანელი.

ვ. ცინცაძე — ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ლ. ჯანაშია — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ვ. ჯაფარიძე — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგე.

გ. ჯაფარიძე — საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ თბილისის ისტორიული ზონის დაგეგმარების სახელოსნოს ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42 „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სატრანსპორტო საშუალებებით ფოსტის გადაზიდვისა და მიტანის ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 31 მაისის № 415 დადგენილების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კავშირგაბმულობის საწარმოებთან ურთიერთობაში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1978 წლის 31 მაისის № 415 დადგენილებით „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სატრანსპორტო საშუალებებით ფოსტის გადაზიდვისა და მიტანის ანაზღაურების შესახებ“:

— დააწესა, რომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროები, მოყოლებული 1979 წლის 1 იანვრიდან, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ მათთვის მიცემული საავტომობილო ტრანსპორტით ფოსტის გადაზიდვასა და მიტანას აანაზღაურებენ ავტოტვირთზიდვის ერთიანი ტარიფების მიხედვით. ამ მიზნით საჭაპანო ტრანსპორტის მიცემისას ანაზღაურება მოხდება საჭაპანო ტვირთზიდვის ტარიფების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 15 კაპიკისა ყოველ გარბენილ კილომეტრზე;

— აღნიშნული დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით 1979 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ითვლება „სოფლად საფოსტო კავშირის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 788 დადგენილების მე-8 პუნქტის მეორე აბზაცი (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ, № 21, მუხ. 147).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 17 ივნისი, № 399

ეროვნული ბიბლიოთეკა

43 რესპუბლიკაში ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრების მომზადების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გეგმების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ასპირანტთა მომზადებას ტექნიკის, ფიზიკა-მათემატიკის, ეკონომიკის, ბიოლოგიის და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა უმნიშვნელოვანეს დარგებში.

ასპირანტთა მომზადება ხორციელდება 65 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის 55 რესპუბლიკური დაქვემდებარების და 10 საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებასა და სასწავლებელში, რომლებიც განლაგებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

1971-1977 წლებში 2 ათასამდე ასპირანტი მომზადდა. 1977 წელს ასპირანტურაში მიღებულია 283 კაცი, მათ შორის 185 — წარმოებისაგან მოწყვეტით.

ამჟამად რესპუბლიკას მეცნიერებათა დოქტორებითა და კანდიდატებით მეცნიერების დარგების უზრუნველყოფის მაჩვენებლის მიხედვით, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო კადრების მომზადების მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

ამასთანავე, რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების მომზადებისა და განაწილების შესამჩნევი დადებითი ძვრების მიუხედავად, ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

1977 წელს ასპირანტურის იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობამ, რომელთაც დაიცვეს ან წარადგინეს დასაცავად სადისერტაციო ნაშრომები დაწესებულ ვადებში, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში შეადგინა არა უმეტეს 38 პროცენტისა (საკავშირო მაჩვენებელი — 54,3 პროცენტი).

რესპუბლიკის მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებები უზრუნველყოფილი არ არიან უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრებით. როგორც რესპუბლიკური, ისევე საკავშირო დაქვემდებარების 40 სამეცნიერო დაწესებულებაში არც ერთი მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი არ არის.

სრულიად არაა უზრუნველყოფილი უმაღლესი კვალიფიკაციის კადრებით საქარხნო ლაბორატორიების უმეტესობა. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში, სადაც ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო რაოდენობა 74 კაცს შეადგენს, არც ერთ სპეციალისტს არა აქვს სამეცნიერო ხარისხი. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნისა და ბევრი სხვა საწარმოს ცენტრალურ ლაბორატორიებში.

უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების მწვავე ნაკლებობის მიუხედავად, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები სისტემატურად ვერ ითვისებენ მათთვის ასპირანტურაში გამოყოფილ ადგილებს. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აუთვისებელია ორმოცამდე ადგილი, მათ შორის ისეთ პერსპექტიულ და რესპუბლიკისათვის აქტუალურ დარგებში, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, მეტალურგია, სახალხო მეურნეობის ეკონომიკა.

ნაკლოვანებებია ასპირანტურაში მიღების გეგმების შემუშავების საქმეში. ამ მუშაობის წინ, როგორც წესი, არ განისაზღვრება დამატებითი მოთხოვნილება მეცნიერებათა კანდიდატებზე. ასპირანტურაში მიღების წლიური გეგმების დამტკიცების შემდეგ სამინისტროებისა და უწყებებისაგან ხშირად შემოდის მოთხოვნები უკვე დაგეგმილი სპეციალობების სხვა სპეციალობით შეცვლის შესახებ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და სხვ.). საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში არის შემთხვევები, როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეუთანხმებლად იცვლება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული კადრების მომზადების გეგმა.

ნაკლოვანებებია ასპირანტურაში მისაღებად კანდიდატურების შერჩევის საქმეში (საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვ.). ყოველთვის როდი ითვალისწინებენ ასპირანტურაში გაგზავნილთა მიდრეკილებასა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს. ხშირად უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის ასპირანტურაში შესასვლელად რეკომენდაციების მიცემის ერთადერთი კრიტერიუმი მათი აკადემიური წარჩინებაა. დაბალია იმ პირთა პროცენტი, რომელთაც ასპირანტურაში მიღებისას აქვთ დაბეჭდილი შრომები. არ აღმოფხვრილა ასპირანტურაში შემსვლელთათვის რეკომენდაციების მიცემისას პროტექციონიზმის ფაქტები.

ასპირანტურაში შემსვლელნი, როგორც წესი, არ გადიან გასაუბრებას მოსალოდნელ სამეცნიერო ხელმძღვანელთან, არ ვლინდება ასპირანტის ვიწრო სპეციალიზაციის კონკრეტული სფეროები. ერთობ უმნიშვნელოა კონკურსი ასპირანტურაში მიღებისას (საშუალოდ 1,6 კაცი ერთ ადგილზე). რაც ასევე აძნელებს ასპირანტთა საგულდაგულო ხარისხობრივ შერჩევას. ამის გამო ჯერ კიდევ მაღალია აკადემიური ჩამორჩენილობისათვის ასპირანტურიდან გარიცხულთა პროცენტი. მაგალითად, მარტო 1977 წელს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან გაირიცხა 13 ასპირანტი, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიიდან უკანასკნელ წლებში ჩამორჩენილობისა და სხვა მიზეზების გამო გაირიცხა 16 ასპირანტი.

ხშირია სადისერტაციო თემებისა და ინდივიდუალური გეგმების დამტკიცების ვადების დარღვევის შემთხვევები. ზოგჯერ თემები 6-7 თვის შემდეგ მტკიცდება (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის სახელმწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფო სამედიცინო ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი და სხვ.).

ასპირანტთა სადისერტაციო თემების დამტკიცებამდე ყოველთვის როდი მიმდინარეობს საგულდაგულო საინფორმაციო ძიება, რაც იწვევს სხვა ორგანიზაციებში უკვე შესრულებულ სამუშაოთა დამტკიცებას (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო რადიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

მთელ რიგ სანეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ასპირანტურაში სამეცნიერო კადრების ხარისხობრივი მომზადების ორგანიზაციის საკითხებს. ხშირია ასპირანტთა მიერ ინდივიდუალური სამუშაო გეგმების შემუშავების ეტაპების, დაწესებული პედაგოგიური დატვირთვის შეუსრულებლობისადმი, სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში, კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი პასიური მონაწილეობისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების შემთხვევები.

ასპირანტთა მომზადებით დასაქმებული ქვედანაყოფების მხრივ კონტროლის გაუწევლობა წარმოშობს უპასუხისმგებლობას ასპირანტთა ბევრი მეცნიერი ხელმძღვანელის მუშაობაში. მაგალითად, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ზოგიერთი მეცნიერი ხელმძღვანელი, რომელიც ასპირანტთა ხელმძღვანელობისათვის ფულად გასამრჯელოს იღებს, არ უზრუნველყოფს მისთვის მიჩენილ ასპირანტთა გამოშვებას. აქ 14 ხელმძღვანელს 5 ათას მანეთზე მეტი გადაუხადეს, მაგრამ 30 ასპირანტი, რომელთაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, სწავლის დამთავრებამდე გაირიცხა. სულ აღნიშნულ ინსტიტუტში 1971-1977 წლების მანძილზე მეცნიერ ხელმძღვანელებს 40 ათასი მანეთი გადაუხადეს. მაშინ როცა მათმა უმრავლესობამ ვერ უზრუნველყო ასპირანტთა გამოშვება დაწესებულ ვადებში.

ჯერ კიდევ დაბალია იმ პირთა პროცენტი, რომლებიც წარმატებით ამთავრებენ ასპირანტურას. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაციები წარადგინა 282 კაცმა 1971-1977 წლებში ასპირანტურადამთავრებული 530-დან, ამასთან ასპირანტურის დამთავრების წელს დისერტაცია მხოლოდ 10 კაცმა დაიცვა.

1973-1976 წლების მანძილზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ასპირანტურის კურსდამთავრებული 462 კაციდან დისერტაციები დაწესებულ ვადაში წარადგინა 127-მა, რომელთაგან დაიცვა 6-მა.

სამეცნიერო საბჭოები ღრმად, შემოქმედებითად არ განიხილავენ ასპირანტთა სადისერტაციო ნაშრომებს, რის გამოც ისინი წარადგენენ ნაკლებმნიშვნელოვან დისერტაციებს. მაგალითად, თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ დამთავრებულად მიჩნეული 41 დისერტაციიდან წარმატებით იქნა დაცული ან საბჭოებს დასაცავად გადაეცათ მხოლოდ 11 დისერტაცია.

ასპირანტურის მეშვეობით სამეცნიერო კადრების მომზადების გაუმჯობესებისა და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა ყურადღება მიექცეს საქვეუწყებო ასპირანტურებში სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, და დაევალოთ მათ:

— შეიმუშაონ ასპირანტურაში სამეცნიერო კადრების მომზადების პერსპექტიული ხუთწლიანი და წლიური გეგმები, ამასთან მჭიდროდ დაუკავშირონ ისინი კონკრეტული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას და რესპუბლიკასა და ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ტენდენციებს;

არ დაუშვან ასპირანტურაში სამეცნიერო კადრების მომზადების დამტკიცებული გეგმების, აგრეთვე მომდევნო წლისათვის ასპირანტთა მიღების დაუსაბუთებლად შეცვლის შემთხვევები; საჭიროების კვალობაზე მიიღონ გადაწყვეტილებანი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დადგენილი წესების ზუსტი დაცვით;

— სრულყონ მუშაობა ასპირანტურაში მისაღებად სპეციალისტთა შერჩევისათვის, ფართოდ ჩააბან კონკურსში სპეციალისტები, რომლებმაც ნაწილობრივ ან მთლიანად ჩააბარეს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, პრაქტიკული მუშაობის საკმაო გამოცდილების მქონე პირები, აგრეთვე პირები, რომელთაც გავლილი აქვთ წინასწარი მომზადება (სტაჟიორი-მკვლევარები, კლინიკის ორდინატორები და სხვ);

— უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებათა საქმიანობა მაქსიმალურად დაუახლოონ კათედრების, საპრობლემო და დარგობრივი ლაბორატორიების ძირითად კვლევითს მუშაობას, რათა უზრუნველყონ პერსპექტიულ ახალგაზრდა მეცნიერთა გამოვლენა, მათი შემოქმედებითი დაახლოება უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერებთან და ამით აამაღლონ ასპირანტურაში მისაღებად რეკომენდებულ პირთა შერჩევის საიმედოობა;

— ციკლის „მეცნიერება-წარმოება“ ხანგრძლივობის შემცირებისა და მატერიალურ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის მიზნით ფართოდ შემოიღონ მიზნობრივ საუწყებათაშორისო ასპირანტურაში პერსპექტიულ სპეციალისტთა — წარმოების მუშაკთა გაგზავნა, რომელთაც აქვთ შესაბამისი რეკომენდაციები ძირითადი სამუშაო ადგილიდან, მისცენ მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის საწარმოთა საქმიანობასთან დაკავშირებული სადისერტაციო თემები, ლებსაც ისინი წარმოადგენენ და სადაც უნდა დაბრუნდნენ ასპირანტურაში სწავლის დამთავრების შემდეგ;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ასპირანტთა მეცნიერ ხელმძღვანელებად რეკომენდებულ პირთა შერჩევის საკითხს; არ დაუშვან სპეციალური ნებართვის გარეშე მეცნიერ ხელმძღვანელებად ისეთ პირთა გამოყოფა, რომელთაც არა აქვთ შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი; აუცილებლად განიხილონ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე იმ პირთა სიები, რომლებიც გამოყოფილი არიან ასპირანტთა მეცნიერ ხელმძღვანელებად;

— სისტემატური კონტროლი გაუწიონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიზნობრივ ასპირანტურაში გაგზავნილ ასპირანტთა მომზადებას, აღმოუჩინონ მათ დახმარება სწავლის წარმატებით დამთავრებაში; ყოველწლიურად განიხილონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის სამინისტროების კოლეგიათა სხდომებზე მიზნობრივ ასპირანტურაში ასპირანტთა მომზადების მდგომარეობის საკითხები და წარუდგინონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი არა უგვიანეს დეკემბრისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს;

— გააფრთხილონ სამინისტროთა, უწყებათა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომ დარღვევათა და ნაკლოვანებათა დაშვების ფაქტების განმეორების შემთხვევაში განხილულ იქნება მათი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს საერთო ზედამხედველობა და კონტროლი ასპირანტურაში სამეცნიერო კადრების მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვის საკითხებში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გაფართოებას ტექნიკურ დარგებში, უწინარეს ყოვლისა მიზნობრივი ასპირანტურის მეშვეობით.

3. დაევალოთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს ასპირანტურაში სამეცნიერო კადრების მომზადების გეგმათა პროექტები შეუთანხმონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს შესაბამის საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებში დასამტკიცებლად მათს წარდგენამდე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეისწავლოს საკითხი, შესაძლებელია თუ არა ასპირანტურების თავმოყრა რესპუბლიკის მსხვილ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და მრავალპროფილიან უმაღლეს სასწელებლებთან, რომელთაც ჰყავთ მეცნიერ ხელმძღვანელთა მაღალკვალიფიციური კადრები, აქვთ სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოები, აგრეთვე უზრუნველყოფილი არიან შესაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზით, რაც საშუალებას იძლევა ... კვლევათა განსახორციელებლად მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, და 1978 წლის ბოლოსათვის წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას შეიტანონ 1979 წლის დამდეგიდან საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის თემატიკურ გეგმებში 1990 წლამდე სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე რესპუბლიკის მოთხოვნილების საპროგნოზო შეფასების თემატიკა მეცნიერული დამუშავებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა აღნიშნული საპროგნოზო შეფასების საფუძველზე უზრუნველყოს რესპუბლიკაში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების ხუთწლიანი და ყოველწლიური გეგმების მეცნიერული დასაბუთებულობა.

6. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 17 ივნისი, № 400

ეროვნული ბიბლიოთეკა

44 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 750 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„დაწესებული გეგმების გადაჭარბებით შესრულების (უკმარშესრულების) დროს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების საწარმო-ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა მიერ ხელფასის სახსრების მიცემის ნორმატივების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 ივლისის № 691 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 750 დადგენილება „საავტომობილო მეურნეობებისათვის მათ მიერ ტვირთზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს ხელფასის გასაცემად სახსრების მიცემის წესის შესახებ“.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 27 ივლისის № 691 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 მარტის № 176 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 ოქტომბრის № 790 დადგენილების — „მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — მე-10 პუნქტი მოსახლეობის შეკვეთების შემსრულებელ „ავტოტექმომსახურების“ სპეციალიზებულ ორგანიზაციათა საწარმოებზე ხელფასის სახსრების გაცემის იმ წესის გავრცელების ნაწილში, რასაც ითვალისწინებს „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 822 დადგენილების მე-12 პუნქტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 21 ივნისი, № 407

ეროვნული ბიბლიოთეკა

45 ფსხუს სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის შესახებ

აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორის ძვირფასი ჯიშებისა და ცხოველთა სამყაროს დაცვის, აგრეთვე ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, და გამოცხადდეს სახელმწიფო ნაკრძალად მდინარე ბზიფის ხეობაში სოხუმის სატყეო მეურნეობის ფსხუს სატყეოს 8485 ჰექტარი ფართობი №№ 197-231, 273-300, 310-315 კვარტალების არსებულ საზღვრებში და ამიერიდან ეწოდოს მას „ფსხუს სახელმწიფო ნაკრძალი“.

2. ფსხუს სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნას საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1978 წლისათვის დამტკიცებული მმართველობის აპარატის რიცხოვნობის, თვიური ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოს ფსხუს სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე სანაკრძალო რეჟიმის დაცვა და ნაკრძალის დებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წლის 23 ივნისი, № 416

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

46 „საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

ავტობუსში, ტრამვაისა და ტროლეიბუსში მგზავრთა უბილეთოდ გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი და მეორე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ავტობუსში, ტრამვაიში, ტროლეიბუსში, საქალაქო მიმოსვლის სამარშრუტო ტაქსში და საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსში უბილეთოდ მგზავრობისათვის ან ბარგის აუნაზღაურებლად წაღებისათვის, პაპიროსის მოწევისათვის — 1 მანეთი ერთ მგზავრზე და 1 მანეთი ბარგის თითოეული ადგილისათვის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1978 წ. 23 ივნისი, № 418

ეროვნული ბიბლიოთეკა

47 კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის ბოცვრების მიყიდვის დროს ბოცვრის ტყავისათვის სართის გადახდის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 20 აპრილის № 306 დადგენილება „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის ბოცვრების მიყიდვის დროს ბოცვრის ტყავისათვის სართის გადახდის შესახებ“ ცნობად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლდამზადებას“, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს, ცეკავშირის გამგეობას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რომ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი და უზრუნველყონ „საქართველოს სს რესპუბლიკაში მებოცვრეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 16 სექტემბრის № 644 დადგენილებით 1978-1980 წლებისათვის დაწესებული მებოცვრეობის პროდუქციის დამზადების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, აგრეთვე ყველა სხვა ღონისძიების შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ბოცვრის ტყავის დამზადების გაზრდას ზამთრის პერიოდში და საუკეთესო ხარისხის ტყავის დამზადებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 23 ივნისი, № 419

ეროვნული ბიბლიოთეკა

1978 წლის 20 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის ბოცვრების მიყიდვის დროს ბოცვრის ტყავისათვის სართის გადახდის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაიზარდოს კოლმეურნეობების, **საბჭოთა** მეურნეობების, სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობის მატერიალური დაინტერესება ბოცვრის ხორცისა და ტყავის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით, აგრეთვე ამ ტყავის ხარისხის ამაღლებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ **კოლმეურნეობების**, საბჭოთა მეურნეობების, სხვა მეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ **სახელმწიფოსათვის** ბოცვრების მიყიდვის დროს ბოცვრის ტყავისათვის სართის გადახდა წარმოებს ცოცხალი წონისა და დამზადების ვადების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

	(კილოგრამი ცოცხალი წონისათვის)
1 იანვრიდან 15 მარტამდე	— 70 კაპიკი
16 მარტიდან 31 ოქტომბრამდე	— 30 კაპიკი
1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე	— 55 კაპიკი

2. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და „ცენტროსოიუზს“, რომ განახორციელონ ღონისძიებანი მებოცვრეობის პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ ზამთრის პერიოდში და უკეთესი ხარისხის ბოცვრის ტყავის დამზადების გაზრდა, აგრეთვე განახორციელონ ღონისძიებანი ნედლეულის, კერძოდ, ზაფხულში შესყიდული ბოცვრის ტყავის პირველადი დამუშავების ტექნოლოგიისა და შენახვის გაუმჯობესებისათვის.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 სექტემბრის № 732 დადგენილების პირველი პუნქტის მეორე აბზაცი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ შ. დ. რადიანის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში პროფესორ შ. დ. რადიანის სახელობის ერთი სტიპენდია 65 მანეთის ოდენობით, რომელიც დაენიშნება ფილოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსან სტუდენტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 28 ივნისი, № 427

49 ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის ოთხი სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და დაწესდეს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის ოთხი სტიპენდია თითოეული 65 მანეთის ოდენობით, რომლებიც დაენიშნებათ ფრიადოსან სტუდენტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 „თესლოვანი ხილის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 14 აპრილის № 201 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

„ახალი საგვიანო მსხლის“ 21713-76 სახელმწიფო სტანდარტის შემოღების ვადის 1979 წლისათვის გადადებასთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის 1978 წლის 12 მაისის № 37/329 წერილით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„თესლოვანი ხილის შესასყიდი ფასების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 14 აპრილის № 201 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად ახალი საგვიანო მსხლის, მათ შორის „ნათესარი კიფერის“ ჯიშის მსხლის შესასყიდი ფასების შემოღების ვადა გადაიდოს 1979 წლისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1978 წ. 28 ივნისი, № 431

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1978 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 4,5 სააღრიცხვო თაბახი 4,5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკვეთა № 779 უე 04102 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

6149/168

ეროვნული
ბიბლიოთეკა